ეროვნული ბიბლიოთეკა




# საქართველოს ქალი

ივლისი
№ 8 1969 წ.

ელექტრონული ბიბლიოთეკა



ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული
ფედერაციის თავმჯდომარე

ჰერტა კუუსინენი

ეროვნული
ბიბლიოთეკა




# ႵႠႪႧႠ
# ႱႠႤႰႧႠႸႭႰႨႱႭ
# ႩႭႬႢႰႤႱႦႤ

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ქალთა საერთა-შორისო კონგრესზე

*კონგრესის მონაწილის დღიურიდან*



კონგრესის პრეზიდიუმში

„დაე, მუდამ იყოს მზე“... მღერის მზისფერთმიа ფინელი გოგონა. და თითქოს მზეს ესმისო მისი მუდარა — აგერ, ღამის 10 საათია, მაგრამ ჯერ თვალის მოხუჭვასაც არ აპირებს.

ივნისი ფინეთში ჩვეულებრივ გრილია, ხშირად მოღრუბლული და წვიმიანიც. ახლა კი მისი დედაქალაქი წლის ამ დროისათვის ჩვეული თეთრი ღამეებითა და თითქოს სტუმრებისათვის საგანგებოდ მოწვეული მზით შემოგვეგება.

„დაე, მუდამ იყოს მზე“.., მღერის ჩრდილოელი გოგონა და მისი სიმღერა აიტაცეს მზით დამწვარმა აფრიკელებმა და ინდოელებმაც... მღერის მთელი დარბაზი, დარბაზი კი არა, მიკრო-მსოფლიო, რომელიც აქ თავისი ხუთივე კონტინენტის 96 ქვეყნის 800-მდე ქალითაა წარმოდგენილი.

მართლაც და დიდებული სანახავია ჰელსინკის კულტურის სახლი. იგი ბაღს წააგავს, უჩვეულოდ აყვავებულს. ქალთა ამ დიდი ფორუმის ყველა მონაწილეს თავისი ქვეყნის იერი ახლავს: თმისა და კანის ფერი, ჩვევა და ჩაცმულობა. ნაირფერ, წვივამდე კაბებს, მინი-კაბები ეჯიბრება და ამ ფონზე კონტრასტულად გამოირჩევა ორი 18-19 წლის გოგონა ვიეტნამურ სამხედრო ტანსაცმელში.

ჩვენს 14 წევრისაგან შემდგარ დელეგაციას მეთაურობს საბჭოთა ქალების კომიტეტის თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის გმირი, კოსმონავტი ვალენტინა ნიკოლაევა-ტერეშკოვა.

ლეგენდარული „თოლია“ ყურადღების ცენტრშია: ხალხით გაჭედილი რკინიგზის სადგურები მოსკოვიდან ჰელსინკამდე, ფოტორეპორტიორები, ყვავილები, ოვაციები...

განსაკუთრებით დაუვიწყარია ჩვენივე მატარებლით მომავალ უცხოელების „შემოსევა“ ვაინიკალას (ფინეთი) სადგურზე. „თოლია“ ვაგონიდან გამოიტაცეს და რამდენიმე წუთის შემდეგ უცხოელებთან ერთად ბაქანზე ფერხულს ვუვლიდით.

კონგრესი 14 ივნისს, დილის 10 საათზე საგანგებო ცერემონიალით გაიხსნა.

ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილ ფინელ მამაკაცთა კვარტეტმა რამდენიმე სიმღერა შეასრულა:

ველზე მჯყაოდა წითელი ვარდი,
ვაჟმა დაინახა, მოიხიბლა
და სამუდამოდ ჩარჩა გულში...

კვარტეტმა სიმღერა დაამთავრა. ამხანაგებს ხნიერი მომღერალი გამოეყო, პრეზიდიუმის მაგიდასთან მივიდა, ტერეშკოვას წითელი ყვავილი მიართვა და ხელზე ეამბორა. ოვაციები...

...კონგრესის მთავარი თემაა „ქალის როლი თანამედროვე მსოფლიოში“. ამ მოხსენებით გამოვიდა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის გენერალური მდივანი სესილ იუჟელი (საფრანგეთი).

ამერიკელ აგრესორთა წინააღმდეგ ვიეტნამელ ქალთა ბრძოლაზე ილაპარაკეს სამხრეთ ვიეტნამისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებმა.

მოხსენებებით:

„ქალი და ოჯახი“ გამოვიდა ავსტრალიელ ქალთა კავშირი;

„ქალი და შრომა“ —სსრკ (კერძოდ ვ. ტერეშკოვა);

„ქალი საზოგადოებაში“ — მექსიკა;

„ქალი ეროვნული დამოუკიდებლობისა, დემოკრატიისა და მშვიდობისათვის ბრძოლაში“ — სუდანი.

შემდეგ ეს მოხსენებები სადისკუსიოდ გადავიდა კომისიებში. დისკუსიებში მონაწილეობა მიიღო 800-მდე დელეგატმა.

...ვუსმენთ ორატორებს და ჩვენს თვალწინ იფურცლება მსოფლიოს ხალხთა ცხოვრების დღიური.

ვიეტნამის ტრაგედია... ლტოლვილი არაბები... ადამიანური უფლებებისათვის მებრძოლი ხალხები აფრიკაში, აზიაში, სამხრეთ ამერიკაში...

და შეკითხვები, შეკითხვები: „რატომ?“, „როდემდე?“

როდის შეწყდება სისხლისღვრა ვიეტნამ-

ში, როდის დაუბრუნდება სამშობლო ლტოლვილ არაბებს, როდის მოელება ბოლო შავკანიანთა დისკრიმინაციას, როდის მიეცემა უფლება აფრიკის ქვეყნებს თვითონ განაგონ თავისი ბედი?

ტრიბუნაზე ორატორები სცვლიან ერთმანეთს. ქალები ლაპარაკობენ აღშფოთებით, მღელვარედ...

და გრძნობ, როგორ კრთება დარბაზის საზეიმო ელფერი, თითქო იხსნება კედლები და გავდივართ დიდ, აფორიაქებულ სამყაროში... ჩვენს თვალწინ სკდება ყუმბარები, ინგრევა სახლები, ილვრება სისხლი...



მეგობრობის ფერხული ვაინიკალას სადგურში



ვიეტნამელი გმირი ქალი ანხ ტუ

„ნო, ნო, ნო!!! — ვყვირით შეშფოთებულნი. კოლონიალიზმსა და ნეოკოლონიალიზმს, აგრესიას, რასიზმსა და დისკრიმინაციას დღეს, ამ ზღაპრულ სამყაროში არ უნდა ჰქონდეს ადგილი, არა, არა, არა!

„მსოფლიოს ქალები ფერით, ჩაცმულობით, ჩვევებით, მრწამსით განვსხვავდებით ერთმანეთისაგან, მაგრამ ჩვენ გვაერთიანებს სურვილი თავისუფლებისა, ბედნიერებისა, სიცოცხლის გადარჩენისა"... — ამბობს შარლენ მიტჩელი ამერიკის შეერთებული შტატებიდან.

„თუ დასჭირდა, სისხლსაც მივცემთ ვიეტნამს", — აცხადებს კუბა.

„მსოფლიოს ქალებო, ჩვენი ხელებისაგან დავწნათ ბადე ვიეტნამის თავზე", — მოგვიწოდებს პოლონეთი.

„დედები მივაღწევთ იმას, რომ ჩვენი შვილების სისხლი არ ილვრებოდეს ვიეტნამში", — ირწმუნება ამერიკელი.

„ვიეტნამი გაიმარჯვებს, ჩვენც გავიმარჯვებთ!" — გაიძახის ანგოლა.

„ჩვენ ვძლევთ ისრაელის აგრესიას, დავიბრუნებთ სამშობლოს!" — ღელავს არაბი...

„კეთილი სძლევს ბოროტს", — გვარწმუნებს ინდოეთი.

უსმენ და გჯერა, რომ ეს ასე იქნება, კეთილი სძლევს ბოროტს! ამის გარანტიაა კეთილ ძალთა ყოველდღიური ზრდა მსოფლიოში, და, თუ გნებავთ, ეს ფორუმიც — მსოფლიოს დედათა დიდი ფორუმი.

მაგრამ ყველაზე გაცხოველებული დისკუსია ამ კონგრესზე ძირითადმა პრობლემებმა გამოიწვია.

და ისევ მაგონდება რომენ როლანის მიერ ბრწყინვალედ ნათქვამი, რომ კაცობრიობა წააგავს ხეს, რომელიც ერთი მხრივ კლდეზეა მიჭყლეტილი და მხოლოდ მის მეორე ნახევარს აქვს ნორმალური ზრდისა და განვითარების საშუალება.

ახლა ჩვენ მოწამენი ვართ, თუ როგორ იმძლავრა კაცობრიობის ხის იმ დაჩაგრულმა ნახევარმა, როგორ ითავისუფლებს თავს კლდის ტყვეობისაგან, იზრდება და მიაშრიალებს ტოტებს მაღლა, სულ მაღლა, ცხოველმყოფელი მზისა და უსასრულო სივრცეებისაკენ.

ეს ზრდა ქალთა ფორუმიდან-ფორუმამდე, განსაცვიფრებელი დინამიკით აღინიშნება.

მოუსმინეთ, რა ბრძნულად, საქმიანად, მღელვარედ ლაპარაკობს თავისი ქვეყნის ავკარგზე, მის სასიცოცხლო ამოცანებზე, ქალთა დიდ შრომასა და ღვაწლზე, აქამდე „უენო" შავკანიანი ქალი და დარწმუნდებით.

ამოცანა კი, მართლაც ბევრია და განამარტო შავკანიანებისათვის!

ქალების მზარდი მონაწილეობა თავიანთ ქვეყნების ცხოვრებაში, ძალა და რაოდენობა, რომელსაც ისინი წარმოადგენენ თანასწორუფლებიანობის, მშვიდობის, ეროვნული დამოუკიდებლობის, სამართლიანობისა და პროგრესისათვის ბრძოლაში, უდავო ფაქტია.

აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება მოითხოვს ქალთა სრულ ემანსიპაციას.

ამ მხრივ მნიშვნელოვან წარმატებად ჩაითვლება სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, მათს კონვენციებსა, დეკლარაციებსა და რეკომენდაციებში (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, იუნესკო და სხვა) ქალთა უფლებების იურიდიული ცნობა. მაგრამ ეს არ კმარა!

ფაქტიური თანასწორუფლებიანობისათვის საჭიროა, რომ დედობა აღიარებულ იქნას მნიშვნელოვან სოციალურ ფუნქციად. საჭიროა, სახელმწიფომ და საზოგადოებამ იკისროს პასუხისმგებლობა, რათა ქალს შეექმნას პირობები დედის, მშრომელისა და მოქალაქის მოვალეობათა შესათავსებლად.

დადგენილია, რომ განსხვავება ამა თუ იმ ქვეყნების ქალთა უფლებებს შორის დამოკიდებულია მათი ქვეყნების სოციალურ სისტემაზე, ისტორიულ და ეროვნულ თავისებურებებზე, მეცნიერების, ტექნიკის, ეკონომიკისა და კულტურის განვითარების დონეზე.

სოციალიზმის ქვეყნებში, სადაც თანასწორუფლებიანობა კანონითა და არსებული სოციალური პირობებითაა გარანტირებული, საზოგადოება თანდათანობით ავითარებს სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



კონგრესის დახურვა

შუალებებს, რომ ქალს მისცეს შესაძლებლობა — უფრო სრულყოფილად შეათავსოს თავისი საზოგადოებრივი და საოჯახო მოვალეობანი. ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ აღმოფხვრილ იქნას წარსულის მახინჯი გადმონაშთები.

ბევრ ქვეყანაში, მიუხედავად იმისა, რომ ქალებმა გარკვეული უფლებები მოიპოვეს, სათანადო სოციალური პირობების უქონლობა, მოძველებული ტრადიცია-ჩვეულებანი ხელს უშლის ქალებს დაიკავონ კუთვნილი ადგილი საზოგადოებასა და ოჯახში.

განსაკუთრებით მძიმეა ქალთა მდგომარეობა მსოფლიოს იმ რაიონებში, სადაც ხალხები ცხოვრობენ კოლონიალიზმის ან მისი გადმონაშთების ბატონობის პირობებში, ან გვეცლინებიან ნეოკოლონიალიზმის, რასიზმის, იმპერიალისტური აგრესიის მსხვერპლად.

ყველა ამ საკითხს კონგრესზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო. მეოთხე დღის ბოლოს დაჯამდა დისკუსიები და ჩამოყალიბდა კონგრესის პლენარულ სხდომაზე სამ დოკუმენტად:

1. მიმართვა მსოფლიოს ქალებს;
2. რეზოლუცია ვიეტნამის საკითხზე;
3. მოწოდება საერთო მოქმედებისაკენ, ქალთა უფლებების განსახორციელებლად.

მსოფლიოს ქალებისადმი მიმართვაში განსაკუთრებული ყურადღება სადღეისო, საკვანძო პრობლემებზეა გამახვილებული, როგორიცაა: ვიეტნამი, მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში, ევროპის უშიშროება, აფრიკის ხალხთა ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

მეორე დოკუმენტის მიხედვით, კონგრესი გამოთქვა՚ს მზადყოფნას ვიეტნამისათვის მორალური, პოლიტიკური და მატერიალური დახმარების გასაძლიერებლად.

მესამე დოკუმენტში ჩამოთვლილია ძირითადი მოთხოვნები, რომლებიც შეეხება ქალთა პოლიტიკურ, ეკონომიურ, სოციალურ და საოჯახო უფლებებს და ხაზგასმულია მოწოდება მსოფლიოს ქალებისადმი: იბრძოლონ კუთვნილი უფლებების განსახორციელებლად.

კონგრესის მიერ მიღებული ეს სამივე დოკუმენტი ნათელი დადასტურებაა მთელი მსოფლიოს პროგრესულ ქალთა ერთიანობისა მშვიდობისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და ჭეშმარიტი თანასწორუფლებიანობისათვის ბრძოლაში.

კონგრესი მქუხარე ტაშითა და გამარჯვების ღრმა რწმენით იწონებს აღნიშნულ დოკუმენტებს.

ამ რწმენას კიდევ მეტად განამტკიცებს პრეზიდიუმის მაგიდასთან მჯდომი ნაზი აგებულების, მაგრამ გმირული ბიოგრაფიის ქალი, დედა, გმირი კოსმონავტი ვალენტინა ნიკოლაევა-ტერეშკოვა — ნათელი დადასტურება იმისა, რომ ქალისთვის დღეს, მსოფლიოში მიუღწეველი არა არის რა.

18 ივნისი ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის მორიგ, VI კონგრესს მიეძღვნა.

კონგრესმა მოისმინა ფედერაციის მუშაობის ანგარიში 1963 წლიდან-დღემდე და ქალთა საერთაშორისო ფორუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე შეიმუშავა შემდგომი სამუშაო გეგმა.

დაბოლოს, ჩატარდა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის პრეზიდენტის, გენერალური მდივნის, საბჭოს, ბიუროსა და სამდივნოს არჩევნები.

პრეზიდენტად არჩეულია ცნობილი ფინელი საზოგადო მოღვაწე ჰერტა კუუსინენი, გენერალურ მდივნად —ფრანგი სესილ იუველი, ვიცეპრეზიდენტებად: ავსტრალიის, გდრ-ს, ინდოეთის, კუბის, ნიგერიის, ურუგვაის, საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიის, იაპონიის წარმომადგენლები, საბჭოთა კავშირიდან —ვალენტინა ნიკოლაევა-ტერეშკოვა.

...მიიწურა კონგრესის მეხუთე დღე. გარეთ ისევ მზეა, ისევ თეთრი ღამე.

დიდი ფორუმის მონაწილენი ერთმანეთს ვემშვიდობებით, ვემშვიდობებით მეგობრებითა და ემოციებით გამდიდრებულნი და ერთი საერთო სურვილით შემტკიცებულნი: ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ „მუდამ იყოს მზე"... — მზე სიცოცხლისა, სიყვარულისა, ბედნიერებისა.

დაე, მუდამ იყოს მზე!!!

მარიკა ბარათაშვილი.
14-18 ივნისი, 1969 წ.
ჰელსინკი.



სხდომის დარბაზში

ფოტოები ვ. ვოლოდკინისა



ვ. ტერეშკოვას ულოცავენ ვიცე-პრეზიდენტად არჩევას

ახალგაზრდა ამერიკელი დელეგატი





კონგრესზე



დელეგატი სუდანიდან



სუდანელი და იორდანიელი დელეგატები

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სცენარისტი რედაქციაში

წლევანდელმა გაზაფხულმა ახალი გამარჯვება მოუტანა კინოდრამატურგ სულიკო ჟღენტს. მისმა სცენარმა „დედის ფიქრებმა“ პირველი პრემია დაიმსახურა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით გამოცხადებულ საუკეთესო კინოსცენარის კონკურსზე. ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ საბჭოთა კავშირის ცნობილი ხელოვანი მოღვაწეები, ერთხმად მიანიჭა ქართველი სცენარისტის ნამუშევარს პირველი პრემია.

ჩვენ რედაქციაში მოვიწვიეთ სულიკო ჟღენტი. საუბარი მეტად საინტერესო იყო. იგი გასცილდა ერთი სცენარის ფარგლებს. რედაქციის მუშაკებმა სცენარისტს მრავალი შეკითხვა მისცეს, დაწყებული იმ დიდი პრობლემებით, რომლებიც საბჭოთა კინოს წინაშე დგას და გათავებული მსახიობი ქალით, რომელიც ყველაზე საუკეთესოდ მიაჩნია თავისი ახალი სცენარის გმირის განსახიერებისათვის.

დიახ, „დედის ფიქრებზე“ მუშაობას უკვე შეუდგა კინოსტუდია „ქართული ფილმი“. დედის როლს ვინ განასახიერებს?.. ეს ჯერჯერობით გადაუწყვეტელია. რამდენიმე მსახიობი ქალი უკვე მოწვეულია სასინჯ გადაღებაზე. ვნახოთ, ვინ გაიმარჯვებს ამ თავისებურ კონკურსში! ეს იქნება მეტად საპასუხისმგებლო როლი, ქართველი დედა, ხუთშვილიანი ოჯახის ბოძი. სცენარი მოიცავს ამ ქალის ცხოვრებას 1921-1950 წლების მანძილზე. ამ ფონზე იშლება ერთი ტიპიური ოჯახის ბედი, ბედი, რომელმაც გაიზიარა ჩვენი ცხოვრების ყველა გასაჭირი და დალხინება, სიძნელეები და გამარჯვებანი.

უყვარს თუ არა თავისი ახალი სცენარი? რასაკვირველია, უყვარს, უყვარს ისევე, როგორც „ჯარისკაცის მამა“, „ღიმილის ბიჭები“ და „სინათლე ჩვენი სახლის ფანჯრებში“, რომელსაც მალე იხილავს მაყურებელი.

რაც შეეხება მომავლის გეგმებს, — მომავალიც სავსეა შემოქმედებითი შთანაფიქრით. სულიკო ჟღენტი ამჟამად მუშაობს სამოქალაქო ომის გმირის ნესტორ კალანდარიშვილის ცხოვრების თემაზე. მან თავისი ფეხით მოიარა ყველა ადგილი, სადაც „ციმბირის პაპას“ უცხოვრია, უბრძოლია. გაეცნო ყველა წყაროს, ყველა დოკუმენტს, რომლებიც ნესტორ კალანდარიშვილის საარაკო საქმეებზე მოგვითხრობენ. სცენარისტმა იმდენად შეისისხლხორცა თავისი მომავალი სცენარის გმირი, რომ მას თვალნათლივ მყავს იგი წარმოდგენილი. ვის მიანდობდა იგი ამ როლს? ეს ჯერჯერობით საიდუმლოა. თუმცა, რატომ არა, დაასახელა კიდეც, ოღონდ, დრომდე შევუნახოთ ეს საიდუმლო.

გამოთხოვებისას ნიჭიერ სცენარისტს კიდევ ერთხელ მივულოცეთ გამარჯვება, ვუსურვეთ შემოქმედებითი წარმატებანი და ვთხოვეთ დასაბეჭდად გადმოეცა ნაწყვეტი „დედის ფიქრებიდან“.

აი ეს ნაწყვეტიც, მასში აღწერილია საქართველოში 1924 წლის მენშევიკური ავანტიურის ერთი ეპიზოდი. ავანტიურა, როგორც ცნობილია, სრული კრახით დამთავრდა.

სცენარში თხრობა მთავარი გმირის პირით მიმდინარეობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყეს რომ მივაღწიეთ, მზე ის-ის იყო ამოდიოდა. წინ მართა მიაბიჯებს ბავშვით ხელში. უკან კი ტყეში გასულთა ცოლები მოდიან. თან ბავშვებიც მოჰყავთ. თეთრ წიფლებს შორის მზის სხივებში გაბლანდული კვამლი გამოჩნდა. მერე ხმადაბლა თქმული გლეხკაცური სევდიანი სიმღერა გავიგონეთ.

— უყურე, მღერიან!

— არა აქვთ სამღერად საქმე თუ? — აბუზღუნდნენ ქალები.

შქერებს შორის თოფის ლულამ გაიპრიალა.

— რომელი ხართ? — მოისმა იქიდან ძახილი და სიმღერაც მაშინვე შეწყდა.

— გასწი, ნენა, მაგ ეშმაკის მოგონილი! — გავძახე მე ისე, რომ ნაბიჯი არ შემინელებია.

მდელოზე გაჩაღებული კოცონის ირგვლივ წვერმოშვებული, თმა-გაჩეჩილი თოფიანი კაცები იდგნენ და დაბნეულად იღიმებოდნენ.

— მოდი, შვილო, მოდი ჩემთან! — დაუძახა თარხანმა თავის ბავშვს. ბავშვმა ვერ იცნო წვერმოშვებული, ტყეში ნაგდები მამა და დედის კალთას მიეკრა.

— ბაღანას კი არა, დიდს შეაშინებს თქვენი დანახვა. რას გევხართ, რას! — გავკიცხე მე კაცები.

— რას გვანან და ნადირებს. ნადირის შეჭმული მენახოს მავენის თავი! — ბარბარემ დაოჩნებული ბავშვი ძალით მიიყვანა თარხანთან. — მიდი, ნენა. ახლა ტურას ჰგავს, თვარა ისე მამაშენია...

ოჯახს დანატრებული მამები ბავშვებს ეალერსებოდნენ. ევტიხი ბავშვს ჰაერში ისროდა და ისევ იჭერდა. ბავშვი შიშითა და აღტაცებით ჭყლოპინებდა.

ბანჯგვლიან ახმახს პატარა გოგონა კისერზე დაესვა და ხის გარშემო დაარბენინებდა. პირდაპირ სასაცილო იყო ამ ხელებდაკოჟრილი ხალხის მოუხეშავი, გლეხური ალერსის ყურება.

— ქარი რომ იყო, ყურძენი ხომ არ ჩამოუყრია ძირს? — ჰკითხა ევტიხიმ ცოლს.

— არ ვიცი, — გაკერპებული იერით გაეპასუხა მართა, — ყურძენი კაცის საქმეა. მოდი შინ და ნახე.

ხის ქვეშ ჩაცუცქული კაცი ჯიბიდან რკოებს, წიწიბოსა და სოკოებს იღებდა და ამით პატარა ბიჭუნას გულის მოგებას ცდილობდა. ბიჭუნა უნდობლად უყურებდა გატყიურებულ მამას. ბოლოს მაინც ვერ გაუძლო ცდუნებას...

— წვიმები თუ დეიწყო, ყანები ჩალპება, — საყვედურით ეუბნებოდა ბარბალე ქმარს.

მათითაშვილი ცეცხლთან იჯდა. შემწვარ სიმინდის ტაროს ღრღნიდა და ფრთხილი მზერით გვათვალიერებდა.

იულონი უზარმაზარ წიფელს მიყრდნობოდა ზურგით. ხელები დაბლა დახრილ რტოებზე ჩამოეწყო და ერთი შეხედვით ჯვარცმულს ჰგავდა.

— კაცებო! — ხმამაღლა ვთქვი მე. — გეყოფათ ახლა უქმად ყოფნა. წამოდით შინ!

კაცებმა გამომხედეს. არავის არაფერი უთქვამს.

— სანამდე უნდა ეყაროთ ასე ტყეში? — ვიკითხე მე.

— ციმბირს მაინც აგი ტყე მირჩევნია, — პირქუშად ჩაილაპარაკა თარხანმა.

— თარხანა, შენ შენს ოჯახს ვერ გამოდგომიხარ და ციმბირში ვის რა ჭირად უნდიხარ! — დაუცაცხანა ქმარს ბარბალემ.

— მთავრობამ გამოაცხადა — ვინც შინ დაბრუნდება, ყველას ვაპატიებთო, — ვთქვი მე.

— დევიჯერო მაგი და შევყო ლომის ხახაში თავი? — ჩაიფრუტუნა ახმახმა.

— ამის მოსვლას ის სჯობდა, ჩეკა დაგვცემოდა თავზე, — გადაულაპარაკა მიხაკომ მათითაშვილს.

მათითაშვილმა დაღრღნილი ტარო ცეცხლში ჩააგდო და წამოდგა.

— ბოლშევიკებმა თავისი ბაღნები მოატყუონ, — ბრაზით წამოიძახა მან. — ვიცით ჩვენ, რა ფასიც აქვს მაგათ დაპირებას, მიველთ და გვტაცებენ ხელს.

— შენთვის არც უთქვამს მთავრობას, გაპატიებო, — ვუთხარი მათითაშვილს. მერე დანარჩენებს მივუბრუნდი: — ხალხს პირჯვრის გადასაწერად არ სცალია და თქვენ...

— შეწყვიტე აგიტაცია! — შეჰყვირა გაცეცხლებულმა მათითაშვილმა — ახლავე დაბრუნდი სახლში!

— წავალ, აბა თქვენსავით ტყეში ხომ არ დავეგდები, — მივუგე მათითაშვილს. — ქალებო, წავიდეთ!

ქალებმა ბავშვები მამებს შეატოვეს ხელში და უკან გამომყვნენ. კაცები ჯერ გაოგნდნენ, მერე გონს მოეგნენ და აყვირდნენ:

— ბაღნები?

— ბაღნები წეიყვანეთ!..

— ბაღნებს თქვენ თვითონ მოიყვანთ სახლში, — გამოვძახე მე.

— ევტიხიმ კარგა მანძილზე გამოგვსდია.

— მართა!... მართა!.. — ეძახდა იგი ცოლს, მაგრამ მართამ ერთხელაც არ მიიხედა უკან.

— მომაცილე, ქალო, აგი ყაზილარი! — იღრიალა ბოლოს მოთმინებადაკარგულმა ევტიხიმ.

— ევტიხია! — შორიდან გასძახა მართამ. — მაგ ბაღანას რომ რამე გაუჭირდეს, ჯერ ოჯახს გადავწვავ, მერე შენ მოგკლავ და ბოლოს მეც მევიკლავ თავს.

— ბოლოდან დეიწყე, ბოლოდან ასე აჯობებს! — სასოწარკვეთილი ხმით ურჩია ცოლს ევტიხიმ.

იმ საღამოს სოფლის ორღობეებში ატირებული ბავშვების გნიასი გაისმა. თოფიან მამებს ხელში აყვანილი მოჰყავდათ ბავშვები. ათასნაირი ხერხებით ცდილობდნენ მათ დამშვიდებას, მაგრამ ასეთ რამეებს არ იყვნენ ჩვეული და ამიტომ ეს ძალიან სასაცილოდ გამოსდიოდათ.

თემსაბჭოს აივანზე აფრასიონი და რაიონიდან მოსული ჩეკისტი იდგნენ. ტყიდან გამოსულები სათითაოდ ადიოდნენ აივანზე, ცალხელში ალრიალებული ბავშვები ეჭირათ, მეორე ხელით თოფებს, პატრონტაშებს და რევოლვერებს აწყობდნენ მაგიდაზე. მერე ეზოში ჩადიოდნენ. იქ კი განიარაღებულ და მოშინაურებულ ქმრებს ცოლები ხვდებოდნენ. დედების ხელში მოხვედრილი ბავშვები მაშინვე წყვეტდნენ ტირილს.

— ხომ ხედავთ? — ვუთხარი მე კაცებს. — კი გვიჭირს ქალებს უთქვენობა, მარა, თქვენ ხომ სულ არაფრად არ ვარგიხართ უჩვენოთ.

იმავე საღამოს ტყიდან ორი ცხენოსანი გამოვიდა. სოფელს გვერდი აუქციეს და მთებისკენ მიმავალ გზას დაადგნენ. დუმილით მიყავდათ ცხენები ბეგლარ მათითაშვილს და იულონ გურიელს. მთაზე რომ ავიდნენ, იულონმა ლაგამი მოქაჩა, ცხენიდან ჩამოვიდა და იქვე გზის პირში ჩამოჯდა. აქედან მთელი გურია მოჩანდა ხელისგულივით.

— რას უცდი? წავიდეთ! — მოხედა თანამგზავრს მათითაშვილმა.

— სად წავიდეთ? — გულგრილად იკითხა იულონმა. იგი იჯდა და ჩამავალი მზით აფერადებულ სუფსის ჭალებს გადაჰყურებდა.

— თურქეთში გასასვლელი გზა ბევრი ვიცი. იქედან ევროპაში! — გამამხნევებელი კილოთი თქვა მათითაშვილმა.

— მე ვერ წამოვალ, — ჩაილაპარაკა იულონმა.

— აბა? ბოლშევიკებთან მიხვალ? შენ გგონია, გაპატიებენ?

— რომც მაპატიონ, მაინც არ მივალ. არ მიმესვლება. მე აქ დავრჩები. ხომ იცი, რაც უნდა იყოს, აქ მაინც ჩემი მიწაა.

— შენი მიწა ბოლშევიკებმა წაიღეს. იქნებ იმედი გაქვს, რომ დაგიბრუნებენ?

— მე რომ მეყოფა, იმდენს არ დამამადლიან.

— კარგი, ბატონო, იჯექი ამ შარის პირზე და ითხოვე მოწყალება! — მათითაშვილმა ცხენს მათრახი გადაჰკრა. ცხენი ადგილიდან მოწყდა. უეცრად უკანიდან გასროლის ხმა გაისმა. მათითაშვილმა იარაღზე იტაცა ხელი და მიიხედა.

იულონ გურიელი შუა გზაზე იწვა. საფეთქლიდან სისხლი სდიოდა, იქვე მტვერში მისი მაუზერი ეგდო...

მათითაშვილი ერთხანს გაშტერებული უყურებდა. მერე ცხენი შეაბრუნა. ნაბიჯებით მიუშვა გზაზე...

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გზა პლანტაციისთან იწყება

215.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთლისათვის

თუ სოფელში დაიბადე და მთელი დღეები ხედავ ახავერდებულ პლანტაციებს, ჯარისკაცებივით ჩამწკრივებულ სიმინდს, მობიბინე სათიბებს და მზედაღვრილ ვენახს, თუ ბავშვობიდანვე გესმის მშობლიური ოროველა და ნადური, დილაადრიან გიოცნებია რაღაც დიდსა და სანეტაროზე — შენში დუღს სიყვარული ყველაფრისადმი, იღვრება სიცოცხლის დაუშრეველი ძალა და ასე გგონია, განუყოფელი ნაწილი ხარ ამ ლამაზი მთაბარისა.

...და რა გასაკვირია, გიყვარდეს შენი სოფელი, მით უმეტეს ისეთი, როგორიც ლიაა, თუ სვანეთისაკენ მანქანით გივლიათ, ჯვარში მისვლამდე შეამჩნევდით ამ ენგურისპირა, ლამაზ სოფელს; ენგური აქედან სულ რამდენიმე კილომეტრზე ეთხოვება მთებს, ჯვარს გაივლის და ლიაში გაივაკებს, დადინჯდება, თითქოს მთებთან ბრძოლით დაიღალა და აქ შეასვენაო მუხლი.

აქ, სამეგრელოს ამ მშვენიერ სოფელში, დაიბადა სულიკო სამუშია. მას უყვარს თავისი სოფელი, ადიდებს მის გმირულ წარსულს და გვიამბობს:

— ათასი ჭირვარამი გადახდომია ჩემს სოფელს, ათასი ვაება. რუხის ციხესთან სასტიკი ბრძოლა გაუმართავთ ქართველებს თურქებთან. როცა შეატყვეს, ვერ გაუმკლავდებოდნენ მოძალებულ მტერს, ეშმაკობას მიმართეს, გაქცეულად მოაჩვენეს თავი და ენგურს ზემოწელისაკენ აუყვნენ. თან სოფელ-სოფელ მაშველ ძალებს კრებდნენ. მტერი ფეხდაფეხ მიჰყვა. ჩემს სოფელში ჩასაფრებულან ქართველები, ხეობაში შეუტყუებიათ თურქები. უკანდასახევი გზა მოუჭრიათ. გამართულა ფიცხელი ბრძოლა. თურქებს სვანეთის იწროებისაკენ უცდიათ გაჭრა, მაგრამ ამაოდ, ერთიანად ამოუჟუჟავთ ისინი. ამბის წამღებიც კი არ დარჩენილა. მტერი დაილიაო, უთქვამთ ქართველებს და სოფლისთვისაც ლია შეურქმევიათ.

მაგრამ მტერი და დუხჭირი ცხოვრება არ დალევია ამ სოფელს მანამ, სანამ ოქტომბრის შუქი არ ამობრწყინდა. ბედნიერი ცხოვრების დამკვიდრებაში არაერთ ლიელს მიუღია აქტიური მონაწილეობა. აქაური ვაჟკაცები მედგრად იბრძოდნენ წითელ პარტიზანთა რიგებში, მენშევიკების წინააღმდეგ.

ხალხი ერთსულოვნად მიემხრო ბოლშევიკებს. კოლექტივიზაციის პირველ წლებშივე ლიელებმა თოხსა და ბარს წამოავლეს ხელი და საუკუნეობით მიძინებულ ჯაგრებს შეუტიეს. აბა ვინ იფიქრებდა მაშინ, რომ ეს გორაკები ასე მოირთვებოდა ჩაითა და ვენახით?

სულიკოს დედ-მამას, ლუბა და გერასიმე სამუშიებს, სოფელში გამრჯე კოლმეურნეების სახელი აქვთ. ლუბას მიერ სოფელში ათობით ჰექტარი ჩაის პლანტაციაა გაშენებული. იგი წლების განმავლობაში კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიე იყო. ქალიშვილები: ნათელა, ვარდო და ციალაც ნაქები მეჩაიეები არიან, თუმცა ახლა სხვა სოფლებში ცხოვრობენ.

სულიკო სულ პატარა იყო, დედის კალათას რომ წამოავლებდა ხელს და პლანტაციაში გარბოდა.

— წელი არ მოიწყვიტოს ამ ბაღანამ, — უთხრა ერთ დღეს ლუბამ გერასიმეს და მანაც პატარა კალათა მოუწნა სულიკოს. ეს კალათა ახლაც ინახება, როგორც საოჯახო რელიქვია.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სულიკომ ზუგდიდის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში განაგრძო სწავლა. ბეჯითი მსმენელი ტოლს არ უდებდა არავის, წარჩინებულად სწავლობდა. არდადეგების დროს კი ისევ პლანტაციას მიაშურებდა.

შემდეგ კი სამუდამოდ დაუბრუნდა სულიკო სამუშია თავის სოფელს, თავის პლანტაციას.

ახალბედა მკრეფავმა პირველი დიდი გამარჯვება 1960 წელს მოიპოვა: 5 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფა. იგი შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოეს. 1963 წელს 0,5 ჰექტარ ჩაის პლანტაციაში 5.500 კილოგრამი ფოთოლი მოკრიფა. 1964 წელს — 6.800, 1965 წელს კი ეს ციფრი 7.000 კილოგრამამდე ავიდა. ეს წელი ყველაზე ღირსსახსოვარია სულიკოს ცხოვრებაში — სოციალისტური შრომის გმირობა მიანიჭეს. კვლავ მეგობრები არიან სულიკო და პლანტაცია. აგერ მისი ბუჩქები, რომლებსაც წელსაც დიდი ამაგი დასდო — მოწინავე აგრონომიული წესების მიხედვით დროულად გადაბარა, ამოწმინდა დრენაჟები, შეიტანა კალიუმის და აზოტოვანი სასუქი, ნაკელი. ამაგი დაუფასდა. უხვად მოვიდა საკრეფად ნაზი დუყები. სულიკოც ყოველდღიურად 80-100 კილოგრამ ფოთოლს აბარებს მიმღებ პუნქტს. გადაწყვეტილი აქვს გაპიროვნებული პლანტაციიდან 8 ტონა ჩაის ფოთოლი მიიღოს. მისი სიტყვა და საქმე ერთია.

ენვერ ჩიქავა

# ისინი ცამეტნი არიან

რგოლში ხშირად შვიდი-რვა წევრია.

ამ ოჯახში კი, რომელზეც ახლა ვყვებით, ერთ რგოლზე მეტი ცხოვრობს — ისინი ცამეტნი არიან.

პირველი დუშა დიდედაა, შემდეგ დედ-მამა — მიშიკო და თინა ფიფიები. მიშიკო ახალგაზრდაა, 1929 წელს დაბადებული სოფელში ბევრია მისი კბილა, რომელსაც ოჯახი ჯერ არ შეუქმნია, მას კი დღეისათვის ათი გოგო-ბიჭი ჰყავს. მიშიკო გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯის მკვიდრია, აქ ცხოვრობდნენ და შრომობდნენ მისი წინაპრები, აქ ცხოვრობს და შრომობს მიშიკოც. მეუღლე თინა კი მეზობელი რაიონიდან — ოჩამჩირიდანაა, სოფელ აგუბედიადან. თინა ასაკით მიშიკოზე უმცროსია. ოჯახი 1947 წლის მაისში შექმნეს, წელიწადის ამ უმშვენიერეს და ულამაზეს თვეში.

იმ წელს სხვა კულტურებთან შედარებით ჩაი სასწაულს სჩადიოდა — დუყები თვალის მომჭრელად ბიბინებდნენ ბუჩქებზე. შრომისმოყვარე თითებს საკრეფად იწვევდნენ. ჩაი აგუბედიაშიც ენახა თინას, ახლა კი პლანტაციებში გასვლა მოუნდა. ომგადატანილ სოფლებს სიღარიბე აწვა ჯერ კიდევ კისერზე. ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, დოვლათის დახვავება, ოჯახის ფეხზე დაყენება მოუხდა თინას მეუღლესთან ერთად.

მშრომელი ქალის სახელი მოუხვეჭა თინას პლანტაციებში დილაადრიან გასვლამ. შემდეგ აკვანი დაირწა ოჯახში. თინამ პირმშოს ფრევდიკო დაარქვა.

ფრევდიკო გოგოა. თინას უხარია, რომ პირველი შვილი გოგოა, წამოიჩიტება თუ არა, ოჯახში საქმეს შემიმსუბუქებსო. თინა ისევ ჩაიზე ფიქრობს და იავნანას უმღერის ფრევდიკოს, მიშიკო კოლმეურნეობაშია და ქმნის დოვლათს. საღამოს სახლისაკენ მომავალი, ფიჩხს წამოიძღვანებს და მეუღლეს ვახშმის მომზადებაში ეხმარება.

დრო, თითქოს გაჭენებულ რაშზე მჯდარიყო, ისე ჩქარა გაფრინდა და დახეთ, ფრევდიკოს კინაღამ აღარ დააცალა აკვნიდან ამოსვლა მზევინარმა, მზევინარს — გასტელომ, გასტელოს — ვალერიმ, ვალერის — ონერიმ, ონერის — ომარიმ, ომარის — ლეილამ, ლეილას — ციცანამ.

მეცხრე და მეათე და-ძმა ერთად შეემატა ციცანას. ტყუპებს ფატიმა და ჯამბულატი დაარქვეს.

ათი შვილის აღზრდა იოლი როდია, ეს უწინარეს ყოვლისა მთავრობამ იცის და აკი სამართლიანად უწევს დახმარებას. კავშირგაბმულობის ჭუბურხინჯის განყოფილებაში ერთდროულ თუ ყოველთვიურ დახმარებას იღებს თინა.

დიდედა დუშას უკვე აღარ შეუძლია ფიზიკური სამუშაოს შესრულება და ოჯახში საქმიანობს. მიშიკო კვლავინდებურად კოლმეურნეობაში ტრიალებს. ახლა კოლმეურნეობა ყოველთვიურ გარანტირებულ ანაზღაურებაზეა გადასული და ხელს თუ გაიქნევ, ყოველი ბუჩქიდან ფული ცვივა. ახლა კი არა და, მაშინაც კოლმეურნეობიდან მოტანილით ცხოვრობდა მიშიკოს ოჯახი, როცა შრომადღეები იწერებოდა, ნამუშევარის აღება კი წელიწადში ერთხელ თუ მოხერხდებოდა. ფრევდიკო უკვე ცხრამეტი წლისაა, რვაწლიანი სკოლა როგორც კი დაამთავრა, ჭრა-კერვის კურსებზე მოეწყო, ახლა მუშაობს და კარგი ხელფასი მოაქვს ოჯახში. დანარჩენები (ფატიმა და ჯამბულატის გარდა) სკოლაში დადიან.

თინა ათი შვილის დედაა, მაგრამ ხელი არ შეუშვია ჩაის იმ ნაკვეთისათვის, რაც პატარძლობაში გაიპიროვნა. მან შარშან თავის 0,3 ჰექტარ ფართობზე 6 ტონაზე მეტი ფოთოლი მოკრიფა.

მზევინარი შესანიშნავი მკრეფავია, არდადეგების დროს აიყოლიებს და-ძმებს და ჩაის პლანტაციისაკენ გასწევს. და-ძმებმა შარშან 3,5 ტონა ფოთოლი მოკრიფეს, სულ ოჯახმა კი — 9,5 ტონა.

შეღამებულზე იკრიბება ჯალაბობა, რომელიმე და-ძმა ჩამოხსნის კედელზე ჩამოკიდებულ ფანდურს და ჩამოჰკრავს თითებს, ისმის ტაში და სიმღერა, შემდეგ ყველაფერი მინელდება, მიშიკო და თინა ხვალინდელ დღეზე იწყებენ ფიქრს, ფრევდიკო ხაზებს ავლებს ქსოვილზე დინჯად, აუჩქარებლად, მერე მაკრატელს იღებს და ჭრის, მზევინარი „მასწავლებელია" — უმცროს და-ძმებს შემოიხვევს და იწყება მეცადინეობა.

ასეა ყოველთვის — ზაფხულსა, ზამთარში, გაზაფხულსა თუ შემოდგომაზე. შრომასა და შემართებას თავისი გააქვს ყველგან, მიშიკოს მამისეულ ეზოში ძველებური ქოხის ნაცვლად ორსართულიანი, თანამედროვე გემოვნების ოდა-სახლი წამოჭიმულა. საღამოს ჭიშკართან დგანან ძროხები, ღორები, თხები, ეზოში კი ბოჩოლები და თიკნები დაკუნტრუშობენ. შრომისმოყვარე ქალის ხელი ემჩნევა ქათმებსა და ბატებს, იხვებსა და ინდოურებს. თინა, როგორც ჩანს, ყველაფერს ასწრებს.

— წელს როგორ შრომობს თინა? — ვკითხე ჭუბურხინჯის კოლმეურნეობა „მეგობრობის" თავმჯდომარეს ნაპო ჭკადუას.

— როგორც არასდროს, — მოკლედ მომიჭრა თავმჯდომარემ, მცირე დუმილის შემდეგ კი განაგრძო: — ჩაის პლანტაციის დამუშავებას შემოდგომიდან შეუდგა, შეიტანა ფოსფოროვანი სასუქები, გაწმინდა ბუჩქები ეკალ-ბარდისაგან, გადაბარვა-გამოთოხნა აგროვადებში ჩაატარა. დუყები საოცარი სისწრაფით შიდიან სიმაღლეში. თინას ხელები კი თვალშეუვლებელი სისწრაფით მოძრაობენ.

თინას რომ ჰკითხოთ, მიმდინარე წლის შედეგებზე უყოყმანოდ გიპასუხებთ: მე და ჩემი ქალიშვილები 10 ტონაზე მეტ ფოთოლს მივცემთ დედა-სამშობლოსო. ამაში ეჭვი არ შევეპარებათ, როცა შეხედავთ მის ტანაყრილ, ჯანმრთელ და ხალისით სავსე ქალიშვილებს.



**იპოლიტე გამსახურდია,**

გალი, ჭუბურხინჯი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟ. ჩიქურიშვილი

# სამი მიხაკის ზღაპარი

მოთხრობა

იყო ერთი ლამაზი გოგონა. ჰქონდა ბროწეულის ყვავილის ფერი ლამაზი ტუჩები, შავი თმა, თაფლისფერი თვალები, გრძელი წამწამები, წვრილი წელი და კოხტა ფეხები.

გოგონას არც დედა ჰყავდა, არც — მამა. მას გაუთხოვარი მამიდა ზრდიდა. ცხოვრობდნენ ქალაქის მყუდრო ქუჩაზე, მყუდრო ბინაში.

გოგონას ნათელა ერქვა, სკოლაში სწავლობდა, სკოლა კი იქვე იყო, — მეორე ქუჩაზე.

მამიდა ექიმი-კოსმეტოლოგი იყო. მას საუკეთესო სპეციალისტის სახელი ჰქონდა განთქმული, ავადმყოფები ბევრი ჰყავდა, მაგრამ ბინაზე არავის ღებულობდა, — ხომ უყურებთ სახლში ბავშვია, სამსახურში მობრძანდითო.

მამიდა ლამაზი და კეთილი ქალი იყო, მაგრამ მკაცრი გამომეტყველება ჰქონდა. საუბარიც ასეთივე მკაცრი გამოუდიოდა, ეტყობა, ამიტომაც დარჩა გაუთხოვარი. მაგრამ ამაზე სულაც არ წუხდა, იგი წუხდა და ზრუნავდა გოგონაზე, რომელსაც არც დედა ჰყავდა და არც მამა.

გოგონამ საშუალო სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა. მამიდა ბევრს ეხვეწა, სამედიცინო ინსტიტუტში შედიო, მაგრამ გოგონას ისე ძალიან უყვარდა ლექსები, ვერაფრით გადააფიქრებინა ფილოლოგობა.

და ერთ დღეს ნათელა სტუდენტი გახდა.

პირველ სექტემბერს მამიდამ პირველად ჩააცვა გოგონას მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი და ახალი, იისფერი კაბა. დილით ადრე გამოვიდნენ სახლიდან. ბელინსკის ქუჩით დაეშვნენ და ვერის ბაზარში შეუხვიეს.

მეყვავილეთა რიგს ჩაუარეს.

მამიდამ იმ დღეს გოგონას პირველად ჰკითხა, რომელი ყვავილი გიყვარსო.

ნათელას ია უყვარდა გაგიჟებით.

— ახლა იას რა უნდა, იყიდეთ ვარდი, მიხაკი, ტიტა. — ჭკუის დარიგება დაუწყო კოჭლმა მეყვავილემ.

გოგონა იას ეძებდა.

— ახლა სექტემბერია, ია ვის ექნება? — თავისას ამბობდა მეყვავილე.

გოგონას მაინც ია უნდოდა.

— როგორ არა, იშოვება! აგერ იქ მიბრძანდით, წყნეთელი ბიჭი ჰყიდის! — მიასწავლა მეორე მეყვავილემ.

გოგონას სიხარულით თვალები გაუბრწყინდა. მერე იქ მყოფთ გადახედა და გაწითლდა; თურმე ყველა მას მისჩერებოდა. უყურებდნენ რაღაცნაირი გაკვირვებული თუ დახარბებული თვალებით. ნათელა დაიბნა, თავი ჩაღუნა. ყველას აარიდა მზერა და მამიდას თავჩახრილი უხმოდ გაჰყვა.

წყნეთელი ბიჭი დახლის შიგნით დახრილიყო, ყვავილების გადარჩევა-გადმორჩევით იყო გართული. მამიდა და იისფერკაბიანი გოგონა მორჩილად ელოდნენ, ბიჭი როდის ამოიხედავდა.

— გიო, რა მიწას ჩაჰყურებ, ბიჭო, აიხედე, ვინ გელოდება! — დახლის ქვეშ ყურში ჩასჩურჩულა ამხანაგმა.

გიომ დამფრთხალივით აიხედა და გაოცდა: მის წინ ანგელოზი იდგა.

— იები არა გაქვს, ბიჭო, იები? რამ გამოგაშტერა? — გაუწყრა მამიდა. გოგონა შეწუხდა. მან იცოდა, რომ მეყვავილე ბიჭის გამოშტერება მისი ბრალი იყო და სირცხვილით იწვოდა.

— იები? კი მაქვს, ქალბატონო! — გიოს თითონაც შერცხვა, აწრიალდა, ხან მიხაკებს წამოავლო ხელი, ხან ვარდებს...

— გიო, რას ეძებ? — ჰკითხა ამხანაგმა.

— იები მქონდა და სადღაც მიმემალა.

— მიგემალა კი არა, ხელში გიჭირავს.

უჰ, მართლა ხელში სჭერია! ახლა უფრო შერცხვა.

— მოგვეცი, ბიჭო, თუ ჰყიდი!

— კი ვყიდი, ქალბატონო, აჰა, ინებეთ! — ძლივს მოახერხა გიომ.

— გამოართვი! — უთხრა გოგონას შუბლშეკრულმა მამიდამ.

ქალიშვილმა თეთრი ხელი გაუწოდა მეყვავილეს და უფაქიზესი თითებით გამოართვა იის კონა.

— გმადლობთ, — ალალი გულით უთხრა გოგონამ.

— რისი, რა, — გაეხარდა გიოს.

— რამდენი მოგცე? — გოროზად ჰკითხა მამიდამ წყნეთელ ბიჭს. თან საფულეს დაუწყო ჩხრეკა.

გიოს კაპიკიც არ უნდოდა, მაგრამ გოროზი დედაკაცის შიშით ვერაფერი თქვა.

— რა ენა დაგება, ბიჭო, როგორ ჰყიდი იებს?

— როგორც თქვენ გენებოთ, ქალბატონო, თუ გინდათ, სულაც ნურაფერს მომცემთ.

— როდის აქეთ გახდით ასეთი გულკეთილი?

— მე სულაც ასეთი ვიყავი, ქალბატონო.

— აჰა, აიღე რამდენიც გილირს, — თუმნიანი მიაწოდა.

— მაგის ხურდა არა მაქვს, ქალბატონო.

— ხურდა არც მე მაქვს.

— არა გაქვთ და არც მინდა. ალალი და უსაყვედურო იყოს.

— უჰ, მომკლა შენმა გულკეთილობამ!

— თუ საჩუქრად არ იკადრებთ, მაშინ სხვა დროს მომიტანეთ. მე ყოველდღე აქა ვარ, ქალბატონო.

მამიდას გაეღიმა.

— კარგი, გვქონდეს შენი ვალი? — თქვა გოროზმა ქალმა და გაბრუნდა.

— გმადლობთ, — ისეთი ნაზი ხმით თქვა გოგონამ, გიოს ტანში გააჟრჟოლა.

— რისი მადლობა, რა... თუ მობრძანდებით, იებს ყოველთვის ვიშოვი თქვენთვის, — მაინც მოახერხა თქმა.

* * *

გაუთხოვარმა მამიდამ იცოდა, რომ გოგონას ძალიან უყვარდა ლექსები და იები, ყოველ დილით აძლევდა ყვავილების ფულს. [illegible]ოც წამით შეირბენდა ბაზარში, მეყვავილეთა რიგს ჩაუვლიდა და გიოს დილის ანგელოზივით გამოეცხადებოდა. წყნეთელი ბიჭი დახლის ქვეშიდან მაშინვე ამოიღებდა იების კოხტა კონას და ისე გაუწოდებდა, თვალს ვერ გაუსწორებდა.

— გმადლობთ, — ამბობდა გოგონა. ფულს დახლზე სტოვებდა და მიდიოდა, მიდიოდა და სხეულს უსუსხავდა უკან ადევნებული უამრავი თვალი.

გიოს ფული არ უნდოდა. იების ერთადერთი კონა გასაყიდად არ მოჰქონდა, მაგრამ ნათელა რომ ფულს ამოიღებდა, ბიჭს ენა ებმებოდა, ვერ უბედავდა, საჩუქრად მოგიტანეო.

— გაფრინდა გიოს ბულბული! — იტყოდა კოჭლი მეყვავილე, როცა გოგონა თვალს მიეფარებოდა.

ია ყოველთვის არ ჰყავის. თითონ მეყვავილეებსაც უკვირდათ, როგორ ახერხებდა გიო ყოველ დილით თითო კონა იის მოტანას. გოგოგონაც დაბარებულივით ზუსტად ცხრის ნახევარზე მოდიოდა და მიჰქონდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მხატვარი ლ. შენგელია

ერთ დღეს გიო ბაზარში არ გამოჩნდა. მეყვავილეებმა მაშინვე თქვეს: ახლა ის ბიჭი იებს ვეღარ იშოვიდა და იმიტომ არ მოვიდაო.

გოგონა კი ჩვეულებრივ მოვიდა, ნაცნობ ადგილას ბიჭი რომ არ დახვდა, გაუკვირდა, აქეთ-იქით დაუწყო თვალიერება.

— გიო დღეს არ მოსულა! — უთხრა კოჭლმა მეყვავილემ.

— უი, რატომ? — გაიოცა გოგონამ.

— არ ვიცი. ალბათ, იები ვეღარ იშოვა და...

გოგონა გაწითლდა. აღარაფერი უთქვამს. მაშინვე გატრიალდა.

მეორე დღეს გიო მოვიდა, მაგრამ ახლა ქალიშვილი აღარ გამოჩნდა. ცხრისნახევარი რომ შესრულდა, გიოს თვალები მოექცა შემოსავლელისაკენ. ცხრა საათამდე კიდევ რაღაცის იმედი ჰქონდა, მერე ყურები ჩამოყარა და მოიწყინა.

გოგონა არც მეორე დღეს გამოჩენილა.

გიოს კი დანა კბილს არ უხსნიდა. ამოდენა ხალხის ყაყანს ვეღარ გაუძლო. ყვავილები გააიაფა, გაყიდა და შინ ყველაზე ადრე წავიდა.

მესამე დღეს შუადღისას გამოჩნდა იისფერკაბიანი გოგონა. შემოვიდა ბაზარში და შემოჰყვა ტანშოლტა, მხარბეჭიანი ვაჟი. იგი სუფთად იყო გაპარსული, შავი თმა გვერდზე ლამაზად ჰქონდა გადავარცხნილი. ყავისფერი კოსტუმი ეცვა, თეთრი ზოლებიანი პერანგი, პიჯაკისფერი ჰალსტუხი ეკეთა და ქალიშვილს ვაჟკაცურად მოჰყვებოდა გვერდში.

გოგონას ღიმილი დაფენოდა სახეზე. მისი მძივებივით ჩაწყობილი კბილები თეთრად ელავდა ბროწეულის ბაგეებიდან.

გიოსთან მივიდნენ.

— აი, მე სულ აქ ვყიდულობ იებს, — უთხრა ნათელამ იმ ვაჟს.

— ალბათ, შემთხვევით სადმე ნახა, ახლა იებს რაღა უნდა, ნათელა. მოდი, მე აგირჩევ კარგ ყვავილებს.

— შემთხვევით რადა, რა? — იწყინა გიომ.

— აბა მაშ როგორ? შუა სექტემბერია, ახლა იებს რა უნდა?

— მერე რა, რომ შუა სექტემბერია.

რამაზმა დახლი მოათვალიერა. იები რომ ვერსად ნახა, ნიშნის მოგებით უთხრა:

— ჰო, კარგი აბა, მომეცი იები.

— რატომაც არ მოგცემ!

გიომ დახლის ქვეშიდან იების შეკვრა ამოიღო და ნათელას გაუწოდა. მერე თვალებში შეხედა. ის პირველი შემთხვევა იყო, რომ მეყვავილე ბიჭმა თვალებში შეხედა ნათელას. გოგონამ იმ თვალებში წყენა, სევდა თუ რაღაც მისი მსგავსი დაინახა.

— ორი დღის წინ მოვედი და თქვენ არ იყავით, — უთხრა მას გოგონამ.

— ვიცი, — თქვა თავჩახრილმა გიომ.

— მაშ, ვიყიდოთ იები? — ჰკითხა რამაზმა ნათელას.

ამის კითხვა რა საჭირო იყო, მაგრამ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კი, მინდა! — ძლივს თქვა ნათელამ.

— კარგი, ახლა ვიყიდოთ, ოღონდ ხვალიდან იები აღარ!

— აბა? — გაუკვირდა გოგონას.

— ხვალიდან მიხაკები, ორი მიხაკი, ეს სიმბოლური იქნება!

გოგონას ესიამოვნა. ვაჟს თვალებში შეხედა და ოდნავ გაწითლდა. მერე ოდნავ დაუკრა თავი, — კარგი, ასე იყოსო.

— აგვირჩიე ორი კარგი მიხაკი! — ბრძანებასავით გაისმა ვაჟის ნათქვამი.

გიომ ამოურჩია.

— იებში და ამ ორ მიხაკში რამდენი მოგცე?

— მიხაკებში თითო მანეთი, იები ისე იყოს.

— შენი სამადლო მე რა მჭირს! — გაჯავრდა ბიჭი და ჯიბეებში დაიწყო ჩხრეკა. აბა რა უნდა ეთქვა გიოს? ენაც ვერ დაძრა. მერე დაიხარა, ორი დამჭკნარი იის კონა საიდანღაც ამოიღო და ნათელას დასანახად დახოცილი ჩიტებივით დაყარა დახლზე.

* * *

მთელი წლის მანძილზე ნათელა და რამაზი მუდამ ერთად შედიოდნენ ბაზარში ყვავილებისათვის. როგორც წესი, ყიდულობდნენ მხოლოდ ორ მიხაკს. მერე კარგა ხანს სადღაც გადაიკარგნენ. დაზამთრებამდე არც ერთი არ გამოჩენილა. ბოლოს ისევ რამაზი შევიდა პირველი. მთელი ბაზარი მიიარ-მოიარა. ქაღალდის პარკი გაავსო, მერე ნაცნობ მეყვავილეებს ჩამოუარა, ამოარჩია სამი მიხაკი — ორი დიდი, ერთი პატარა. ფული გადაიხადა და აჩქარებული გაბრუნდა.

— ნახეთ, ბიჭებო? უკვე სამნი გამხდარან! — თქვა კოჭლმა მეყვავილემ.

— ჰო, სამნი გამხდარან, — დაუდასტურეს სხვებმაც.

ერთ დღეს კოჭლმა მეყვავილემ რამაზს ჰკითხა.

— ძმისწულო, არ გეწყინოს და... აი ეს პატარა მიხაკი ბიჭია თუ გოგო?

რამაზმა პატარა მიხაკს დახედა, გაიღიმა და თქვა:

— გოგო!

— ჰოო, ღმერთმა გაგიზარდოთ, მერე ბიჭიანობა ყოფილიყოს!

— გაგიზარდოთ, გაგიზარდოთ! — ალალი გულით დალოცეს მეყვავილეებმა.

— გმადლობთ! — თქვა ნასიამოვნებმა გოგოს მამამ და მეყვავილეებს დაემშვიდობა.

გამოხდა ხანი და ბაზარში კვლავ გამოჩნდა ნათელა. მან ჯერ სხვა დახლები მიიარ-მოიარა, ჩანთა სანოვაგით გაავსო, მერე მეყვავილეებს ჩამოუარა. იგი ცოტა შეცვლილი ჩანდა, — ფერმკრთალი და გამხდარი. გოგონას კიდევ რაღაც აკლდა, მაგრამ მისი ისე უცებ შემჩნევა შეუძლებელი იყო.

— გამარჯობათ, — მიესალმა ნაცნობ მეყვავილეებს.

— გაგიმარჯოს, შვილო.

— გიორგი, ამირჩიე სამი მიხაკი, — უთხრა წყნეთელ ბიჭს. ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ ნათელამ სახელით მიმართა გიოს, თანაც ნათლობის სახელით.

გიომ ქალიშვილს თაფლით სავსე თვალებში შეხედა. ნათელამ უმალვე აარიდა მზერა.

გიომ ორი დიდი და ერთი პატარა მიხაკი ამოურჩია. მერე დახლის ქვეშიდან იის კონა ამოიღო და ისიც გაუწოდა.

— გმადლობთ, იები არ მინდა, — რაღაცნაირი მორიდებით უთხრა ნათელამ.

— აი, მაგ პატარა მიხაკს წაუღე, — თავჩაღუნულმა ჩაილაპარაკა.

ნათელა დაიბნა, არ იცოდა, აეღო თუ...

— ფასი არ მინდა! — ისევ თავჩაღუნულმა ჩაიდუდუნა გიომ.

უარის თქმა აღარ შეიძლებოდა, გამოართვა და მადლობა გადაუხადა.

ნათელას შინ მისვლამდე ხელში ეჭირა იის კონა. ნელა მიჰყვებოდა ბელინსკის აღმართს და ყოველ წამს ყნოსავდა. თავიანთი სახლის სადარბაზო შესასვლელში ცოტა ხანს შეჩერდა, რამდენჯერმე ზედიზედ დაყნოსა იები, თითქოს დაემშვიდობა, მერე მტვრიანი ყუთის თავზე მოფარებულ ადგილას ფრთხილად დადო და კიბეს აჰყვა.

ერთ დღეს მეყვავილენი საწყენი ამბის მომსწრენი გახდნენ: პატარა მიხაკის მამა ვიღაც ქერათმიან ქალიშვილს შემოჰყვა ბაზარში, მეყვავილეთა რიგს აუარ-ჩაუარეს, ორი ცალი ვარდი იყიდეს და წავიდნენ.

— ახლა ეს ორი ვარდი რაღა იყო, ვითომა? — თქვა გაჯავრებულმა დიღმელმა სანდრომ.

— რა ვიცით აბა! — მხრები აიჩეჩეს დანარჩენმა მეყვავილეებმა.

ეს ამბავი დილით მოხდა. შუადღისას კი ნათელა გამოჩნდა ბაზარში. მან ადრინდებულად ფაცა-ფუცით მიიარ-მოიარა ბაზარი, ჩანთა სანოვაგით გაავსო, მერე გიოსთან მივიდა, კვლავ სამი მიხაკი იყიდა და ნუკრიანი შველივით გაიქცა.

კოჭლმა მეყვავილემ კი ნერვების მომშლელად ამოიჩემა სიმღერა:

„კაცის გული იგეთია,
ვით მორევი შავი ზღვისაოოოო“...

...და იმ დღის შემდეგ ასე ხდებოდა: ბიჭი დილით მიდიოდა და ორ ვარდს ყიდულობდა, ნათელა შუადღისას — სამ მიხაკს.

* * *

იმ ზამთარს დიდი თოვლი მოვიდა თბილისში და მაგარი ყინვები დაიჭირა. მეყვავილეებმა გაზაფხულამდე დაისვენეს. გამოზაფხულზე კი ისევ თავიანთი ადგილები დაიკავეს ბაზარში.

კარგა ხანი გავიდა, აღარც სამი მიხაკის მუშტარი გამოჩენილა და აღარც ორი ვარდისა. აპრილის შუა კვირაში პირველი ისევ ვაჟი გამოჩნდა, მან ჯერ ხილი იყიდა,მერე სამი ვარდი და გაბრუნდა.

— ჰეი, ტიალო ცხოვრებავ! დაინახეთ, ბიჭებო? ვარდები უკვე სამნი გამხდარან! — თქვა კოჭლმა მეყვავილემ.

როგორ არა, ყველამ დაინახა და არც ერთს არ გახარებია.

ორი კვირის შემდეგ ნათელაც გამოჩნდა. მას ბავშვი ჰყავდა აყვანილი და ხალხში ფრთხილად მიიკვლევდა გზას. ბევრი არაფერი უყიდია, მალე მობრუნდა მეყვავილეებისკენ. გიო თვალს ვერ აშორებდა მისკენ მიმავალ დედა-შვილს. კოჭლი მეყვავილე კი გიოს უყურებდა და გულში ამბობდა: „უყვარს, ისევ უყვარს ამ საწყალ ბიჭს“.

ბავშვი ჯერ კიდევ არ იქნებოდა ორი წლისა. დედას ჰგავდა, მასავით გრძელი და შავი წამწამები ჰქონდა, მაყვალივით შავი თვალები, ვარდის ფურცელივით ლამაზი ტუჩები, ფუნჩულა ლოყები... კულულებიან თავზე თეთრი მზის ქუდი ეხურა და ხალხის სიმრავლით გაოცებული აქეთ-იქით იყურებოდა.

მეყვავილეები რაღაცნაირად გაამხიარულა პატარა გოგონას დანახვამ, დახლის იქიდან დაუწყეს მოფერება.

— აბა, პატარა გოგო, რომელი ყვავილები მოგწონს, მითხარი და მოგართმევ, — უთხრა სანდრომ.

— ჩვენ ისევ მიხაკები გვინდა, ბიძია, — თქვა ნათელამ გოგონას მაგიერ და გიოსკენ გაიხედა, დიღმელი მიახვედრა, ისევ იმისგან უნდა ვიყიდოო.

—ჰო, იყოს მიხაკები. მე მგონი, გიოს არ ეწყინება, რომ დღეს ჩვენს სტუმარს მე ვაჩუქო ყვავილები.

— არა კაცო, რა უნდა მეწყინოს. მეც ვაჩუქებ.

— უი, რას ბრძანებთ, ნუ შეწუხდებით, ბატონო, ჩვენ თითონ...

— ეს რა შეწუხებაა... აბა, რამდენი გაგეხარდება პატარა გოგო, ისევ სამი, განა! აჰა ეს ერთი დიდი, ეს მეორე, ესეც პატარა და ყველაზე კარგი.

— უიმე, ბატონო, ძალიან დიდი მადლობა! გთხოვთ ფული აიღოთ.

— მეც გთხოვთ, არ მაწყენინოთ. ბავშვს ყვავილები ვაჩუქე, რა მოხდა!

სანდრომ ძალიან კარგად იცოდა, რომ მესამე მიხაკი საჭირო აღარ იყო, მაგრამ მაინც სამი ამოურჩია. არც ნათელას უთქვამს არ მინდაო. ძნელია ასეთ რამეზე ყველასთან გულის გადაშლა.

გიომ იის კონა შეკრა და ქარაგმულად თქვა:

— მანდ მიხაკები ისედაც ბევრია, აჰა, იები გამომართვი. გაიზარდე დიდი გოგო!

— გმადლობთ, გმადლობთ, — ნათელას არ უთქვამს — არ მინდაო, გამოართვა, მეყვავილეებს დაემშვიდობა და თავის გზას დაადგა.

ცალ ხელში ბავშვი ეჭირა, მეორეში — სანოვაგის ჩანთა, უჭირდა, ნელა მიჰყვებოდა ბელინსკის ქუჩის აღმართს, აკაციების ჩრდილში ხშირად ისვენებდა და იებს ყნოსავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამუშაო არ მთავრდება



მას უჭირს გახსენება, სად და როდის გაუჩნდა სურვილი მთელი ცხოვრება ადამიანის სიცოცხლის დაცვისათვის ეზრუნა. იგი ცნობილი მეცნიერის ალექსანდრე ჯავახიშვილის ქალიშვილია. გეოგრაფი ალექსანდრე ჯავახიშვილი დღესაც განაგრძობს მოღვაწეობას სახელმწიფო უნივერსიტეტში. დედა ბუნებისმეტყველებას ემსახურებოდა. იქნებ დედის გავლენა იყო, სკოლის დამთავრებისთანავე თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში რომ ჩააბარა გამოცდები!

ალექსანდრე ნათიშვილი, გრიგოლ მუხაძე და მიხეილ წინამძღვრიშვილი იყვნენ მისი აღმზრდელები. მათ შორის კი ალ. ნათიშვილი აღიარა მან სულიერ მამად... სიცოცხლის მიზნად დაისახა ვაეგრძელებინა მისი დაწყებული საქმე, თუკი ოდესმე ამას შეძლებდა... და აი, დღეს იგი საყვარელი პედაგოგის სახელობის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორია...

ახლაც თვალწინ უდგას ფართო აუდიტორია, თეორხალათიანი სტუდენტები. საშუალო ტანის პროფესორი, რომელსაც თურმე ახალგაზრდობაში სასცენო მოღვაწეობა იზიდავდა და რამდენიმე როლიც შეუსრულებია. პროფესორის ბრწყინვალე ნააზრევისა და მრავალი ექსპერიმენტის შედეგად მიღებული დასკვნების საინტერესო გადმოცემას ხელს უწყობდა მომხიბლავი დიქცია და გამართული ლოგიკა.

ასეთი დარჩა ალექსანდრე ნათიშვილი ნინო ჯავახიშვილის მეხსიერებაში.

ნინომ დაამთავრა ინსტიტუტი და იქვე, ანატომიის კათედრაზე ასისტენტად დაიწყო მუშაობა. ახალგაზრდა ასისტენტი სისხლის მიმოქცევის უწვრილესი სისხლძარღვებითა და მათი ცვლილებებით დაინტერესდა და საკანდიდატო დისერტაციაც ამ თემაზე დაამუშავა.

27 წლის ნინო უკვე მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატია; სამი წლის შემდეგ იგი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი ხდება.

1946 წელს, როცა ჩვენს სამედიცინო კერებს ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტი შემოემატა, ახალგაზრდა მეცნიერი ქალი ინსტიტუტში გადავიდა სამუშაოდ და კვლავ ინსტიტუტის პირველი დირექტორის ალექსანდრე ნათიშვილის ხელმძღვანელობით განაგრძობდა მუშაობას. ორ წელიწადში ნინო ჯავახიშვილი სადოქტორო დისერტაციას იცავს თემაზე — „ადამიანის ზურგის ტვინის ნერვიული წნულების თავისებურებანი, მისი ნერგების კავშირი სიმპათიკურ წველთან და თვით სიმპათიკური წველის შენების თავისებურებანი".

შრომაში ნაჩვენებია ზურგის ტვინის ნერვების შექმნის მრავალფეროვანი ვარიანტები, რომელთა ცოდნას დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ნერვების დაზიანების შემთხვევაში განვითარებული სხვადასხვა მოვლენების ასახსნელად.

1953 წელს ნინო ჯავახიშვილი უკვე პროფესორია. ყოველდღიური შემოქმედებითი მუშაობა, ექსპერიმენტები და ძიება თავმოყრილია 110 სამეცნიერო შრომაში, რომელთა უმრავლესობა ნერვიული სისტემისა და სისხლძარღვების ანატომიის საკითხებს ეხება. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ნინოსა და მისი მეუღლის, პროფესორ მამია კომახიძის ერთობლივ ნაშრომს, რომელიც გულ-სისხლძარღვთა სტრუქტურასა და ასაკთან დაკავშირებულ ექსპერიმენტულ პირობებში გამოწვეული ინფარქტის დროს წარმოშობილ ცვლილებებს ეხება. მათ დაადგინეს, რომ კვების დაქვეითების ანაზღაურება ხდება გულის კუნთში უკუდინებით მოსული სისხლით, — რომელიც გულმა შეიძლება მიიღოს თავისი საკნიდან; მათვე ერთობლივად გამოსცადეს გულის ინფარქტის ოპერაციული მკურნალობის ზოგიერთი წესი. დადგინდა, რომ სისხლის მიმოქცევის დარღვევის დროს, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს მსხვილი სისხლძარღვების დაავადებით ან დაზიანებით. შესაძლებელია დაავადებული ძარღვის შეცვლა სხვადასხვა ხელოვნური შემცვლელებით.

1961 წელს ნინო ჯავახიშვილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს, ხოლო ოთხი წლის შემდეგ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება მიანიჭეს.

ნინო ჯავახიშვილი დიდ ყურადღებას უთმობს ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა შემოქმედებით მუშაობას, ყოველნაირად ეხმარება მათ და ახარებს თითოეულის წინსვლა. მისი ხელმძღვანელობით საინტერესო კვლევით მუშაობას ეწევიან თინათინ ბურჯანაძე, თამარ ქებურია, ნათელა მამფორია, ნანა შიუკაშვილი, ნელი ჩხოლორია, ნანული ჭიჭინაძე და სხვები, ისინი შეისწავლიან სიცოცხლისათვის ისეთი მნიშვნელოვანი ორგანოების სისხლძარღვთა აგებულების თავისებურებებს, როგორიცაა, ღვიძლი, ენა, ელენთა, თირკმლისზედა ჯირკვალი და სხვა; მთელი რიგი ექსპერიმენტებით დადგინდა ამ ორგანოებზე ქირურგიული ჩარევის გზები, ხოლო თინათინ ბურჯანაძემ სისხლის ბიოქიმიური შესწავლით დაამტკიცა, რომ ცხოველის ორგანიზმი იტანს დღემდე ხელშეუხები ღვიძლის ნახევრის ამოკვეთასაც კი, ამასთან მას ამ დანაკლისის აღდგენის უნარიც შესწევს.

გასაოცარი ენერგია აქვს ნინო ჯავახიშვილს. ინსტიტუტის ხელმძღვანელობასა და დაუცხრომელ კვლევით მუშაობას იგი წლების მანძილზე თავისუფლად უთავსებს აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი; ათი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელი საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი; საქართველოს კომუნისტური პარტიის უკანასკნელი რვა ყრილობის დელეგატი, მშვიდობის საკავშირო კონფერენციების მონაწილე, საზოგადოება „ცოდნის“ პრეზიდიუმის წევრი; 1945 წლიდან დღემდე საბჭოთა ქალების კომიტეტის უცვლელი წევრი; მშვიდობის დაცვის საქართველოს რესპუბლიკური საზოგადოებისა და საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებათა პრეზიდიუმის წევრი; თბილისის ანატომთა, ჰისტოლოგთა და ემბრიოლოგთა საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე და ამავე საზოგადოების საკავშირო პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე, უმაღლესი საატესტაციო კომისიის პლენუმის წევრი... აი, როგორია მისი საზოგადოებრივი როლი ჩვენს ცხოვრებაში.

ნინო ჯავახიშვილი სისტემატურად მოგზაურობს სხვადასხვა საზოგადოებების მიწვევით და გამოცდილებას უზიარებს როგორც საბჭოთა, ისე უცხოელ მეცნიერ-კოლეგებს. იგი მონაწილეობდა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის პარიზის, ბუდაპეშტისა და კოპენჰაგენის კონგრესების და ხალხთა მშვიდობის დაცვის ვენის კონფერენციის მუშაობაში; საბჭოთა ქალების დელეგაციასთან ერთად იმოგზაურა იტალიაში, ალბანეთში, ინგლისში, ეთიოპიაში, ეგვიპტეში; უცხოელი ექიმების მიწვევით იმყოფებოდა აშშ-ში, შვეციაში, ბელგიაში, ლუქსემბურგში; მიწვეული იყო ბულგარეთის მორფოლოგთა კონფერენციაზე, ანატომთა მე-7 და მე-8 საერთაშორისო კონგრესებზე, რომლებიც ჩატარდა ნიუიორკსა და ვისბადენში.

ნინო ჯავახიშვილი არც ამ მრავალრიცხოვანი და ხანგრძლივი მოგზაურობის დროს წყდება თავის კვლევით მუშაობას: მას თან დააქვს „საგზაო“ სამუშაო“ და თვითმფრინავში თუ სასტუმროში აანალიზებს იმ მეცნიერულ დასკვნებს, რომლებსაც თბილისში ჩატარებული ექსპერიმენტული მუშაობის შედეგად იღებს.

ცხადია, არც პარტიას და მთავრობას რჩება უყურადღებოდ მეცნიერი ქალის დამსახურება: ნინო ჯავახიშვილი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, „საპატიო ნიშნის“ ორდენით და მრავალი მედლით.

...აი, მისი სამუშაო მაგიდა. იგი სავსეა ახლად მოტანილი ბარათებით. საქართველოს საზოგადოება „ცოდნის“ პრეზიდიუმი, საკავშირო სამედიცინო აკადემიის ნამდვილი წევრი პროფესორი დიმიტრი ჟდანოვი, უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვლადიმერ კასიანენკო, ამერიკელი პროფესორები: ჯეიმსი, რეონოლდსი, ტროტერი, პროფესორები: ჩეხი ჰაკიარი, პოლონელი სილვანოიჩი, ბულგარელი ჰაჯიულოვი სასწრაფო პასუხს მოითხოვენ ...ამასთან, სასწრაფოდაა დასამუშავებელი ახალი ექსპერიმენტების შედეგებიც...

მეცნიერი ქალის სამუშაო არ მთავრდება.

ჯ. მჭედლიშვილი

# ლენინური გაწვევით

მისი ბიოგრაფიის ყველაზე საინტერესო ნაწილი 1924 წლიდან იწყება, როცა იგი კომუნისტურ პარტიაში შევიდა ლენინური გაწვევით. ამ დროიდან მისი ცხოვრება გახდა უფრო საინტერესო, ფართო შესაძლებლობით სავსე და მიმზიდველი.

ეს ქალი არის ნინო ალექსანდრეს ასული მესხი. მან ცხოვრებაში ყველაფერს მიაღწია, რაც კი მიზნად დაისახა: ჰქონდა სურვილი მონაწილეობა მიეღო ჩვენი ქვეყნის მშეენბლობის ყველა უბანზე და მართლაც, ნინო ალექსანდრეს ასული ყველგან იყო, მრავალმხრივ მოღვაწეობას ეწეოდა, სად არ ნახავდით მას!

ასეთი ფართო სამოქმედო ასპარეზი ქალს შეიძლება მხოლოდ სოციალისტურ სახელმწიფოში გადაეშალოს. ნინო მესხი ლენინურ კომუნისტურ პარტიას უმადლის ყველა იმ ოცნების განხორციელებას, რაც უკვე ჰქონდა 1922 წლიდან მას, საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომკავშირის წევრს.

მისი პირველი ოცნება კომუნისტურ პარტიაში შესვლა იყო. მისთვის დაუვიწყარია ქუთაისის ქალთა განყოფილების მზრუნველობა. განყოფილებამ იგი ქუთაისის თამბაქოს ფაბრიკაში გაგზავნა გილზების მანქანაზე სამუშაოდ. აქ გამოიწრთო მისი ნებისყოფა. კომკავშირელი ნინო მესხი შრომის მოყვარეობით გამოირჩეოდა. ამიტომაც იგი ფაბრიკის კომკავშირული ორგანიზაციის მეორე მდივნად აირჩიეს. ნინოს ზრდასა და წრთობაში დიდ როლს ასრულებდა ძველ რევოლუციონერ მუშათა მაგალითი. ისინი ყოველდღიურად აძლევდნენ მას ცხოვრების ცოდნას და გამოცდილებას.

დადგა 1924 წლის თებერვალი. ქუთაისის თამბაქოს ფაბრიკაში ღია პარტიული კრება მოიწვიეს. საბჭოთა ქვეყანა გლოვობდა ლენინის გარდაცვალებას. მოწინავე მუშებმა ლენინურ პარტიაში მიღება ითხოვეს. ამ მოწინავეთა შორის იყო ნინო ალექსანდრეს ასული მესხი.

და მას შემდეგ, იგი როგორც პარტიის წევრი, ყოველთვის იდგა ჩვენი ქვეყნის მშენებელთა პირველ რიგებში. პარტიის წევრობა ნინოს ავალებდა მიეღო უფრო სრულყოფილი განათლება და მიეცა ადამიანთა კეთილდღეობისათვის თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმი. ამ მიზნით იგი თბილისში ჩამოვიდა და მუშფაკში დაიწყო სწავლა. შემდეგ დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და ასპირანტურა მოსკოვში. იქვე დაიცვა დისერტაცია ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხზე.

მას ყოველთვის ახსოვდა, რომ ის იყო პარტიის წევრი ლენინური გაწვევით. იქნებ ამიტომაც სთხოვდა თავის თავს ბევრს, იქნებ ამიტომაც იყო მისი მოღვაწეობა ასე მრავალმხრივი.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ ნინო მუშაობდა მეცხოველეობის კვლევით ინსტიტუტში უფროს მეცნიერ მუშაკად. 1936 წელს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მობილიზაციით გაგზავნეს ონის რაიონის მიწგანის გამგედ, შემდეგ იყო საგურამოს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დირექტორი. 1938 წელს გადაიყვანეს ზოოვეტერინალური ინსტიტუტის დირექტორად, მუშაობდა დოცენტად მეცხოველეობის კათედრაზე. აღნიშნულ საქმიანობასთან შეთავსებით 1944 წელს დაამთავრა საქართველოს სამედიცინო ინსტიტუტი. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ იგი დმანისის რაიონის სამშობიარო სახლის და ქალთა კონსულტაციის მთავარ ექიმად გაგზავნა.

1948 წლიდან ნინო მესხი თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლის მთავარი ექიმია. 1953 წელს იგი თბილისის ოქტომბრის რაიონის ბავშვთა ინფექციის კაბინეტის გამგედ დანიშნეს. აქედან გავიდა ნინო რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალურ პენსიაზე. ასეთი დაუცხრომელი, საქმიანი და შინაარსით — სავსე ცხოვრება, როგორც ნინოს, ჰქონდა, ყველასათვის სანიმუშოა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი ლექსები

იზა ორჯონიკიძე

* * *

კლდეებს რად უნდათ კარი და ბჭენი?!
კლდეებს სივრცე და სიმაღლე უნდათ.
მე მიკვირს ბევრის
და მიკვირს თქვენი,
რომ აუხსნელად მშვიდი ხართ მუდამ.
მე ვერ ვიყუჩე,
მზე მეძალება,
და მეკიდება მზე როგორც წალამს,
მე ვიწვი, რადგან მზის ბრწყინვალება
თავს როდი ზოგავს,
თავს როდი მალავს.
მე ვიწვი! თუკი სათავე დაშრა,
მალე მდინარე მოწყდება სულაც...
მე მუდამ ვგავდი იმ დროშის გაშლას,
რომელსაც უმზერს ათასი ლულა.

## ბედნიერი სასახლე

მომეჩვენება ბროლის ქალი
ბდღვიალებს, იწვის,.
ნაძვის ხეს ასდის ღვთაებრივი
სურნელი წიწვის,
იცინის, ვინაც არ იცოდა
წამება, გესლი,
იცინის ანცი სალამური —
თიკნების მწყემსი.
წკრიალებს ბროლი,
ლვივის ქალი,
ზე არბის ჭერი.
ყელთ ხმა ამოდის
ცინცხალი და საამოდ მჟღერი.
ხმა შეუმკრთალი,
ხმაი ჯერეთ გაუბზარავი
მორბის სახლიდან,
სადაც დღესაც არ სწუხს არავინ...

## წყნარი ნაპირი

საღამო წნდება.
დღემ იბორგა და დაილექა.
ზღვა არის მუხლზე აკეცილი
კაბების ზოლი.
მშვიდია გული,
გზად გაყრილან
ღრუბელნი ლეგა
და სადღაც,
ქვეყნის დასასრულთან —
ხომალდი ორი..,
ამ ხეთა შორის
გარინდება სცოდნია ყველას,
და სიჩუმეში რაც შორია
სულ ახლოს ფეთქავს...
მოვა ნაპირთან ტალღა თბილი
და მოვა შველა...
...და დევს ზღვის ფსკერზე
სამდურავი რომ უნდა მეთქვა.

ლილი ნუცუბიძე

## მამაის ყორღანზე

ეს ყველაფერი
არის სიმართლე,
ეს ყველაფერი
არის ნამდვილი,
ტყვედ ჩავარდნილი
იყო სინათლე
და ანათებდა
დედის მანდილი.

მზე ესიზმრებათ
დამწვარ სართულებს,
გაფითრებულა
საფლავის ლოდიც,
ლევიტანის ხმა
მოაქვთ მავთულებს
და ცახცახებენ
ტალღები ვოლგის.

## ბაბუამ არ იცოდა წიგნი

ბაბუამ არ იცოდა წიგნი,
მიწას ჩაჰკირკიტებდა ხვნეშით,
საღამოს ბუხრისპირ დაჯდებოდა იგი
და გრძელი ყალიონი ეჭირა ხელში.

ჰაერში იწყობოდა სტრიქონები კვამლის
და თვალჩაშტერებით მიჰყვებოდა
ბწკარებს;
ალბათ იქ ეწერა ცხოვრების ყავლი,
ტკბილი და მწარე...
ბაბუამ არ იცოდა წიგნი.

## ქალთა საერთა-შორისო კონგრესზე



გულითადი საუბარი. ცენტრში — საბჭოთა ქალების დელეგაციის წევრი, სოციალისტური შრომის გმირი, ფეიქარი ზოია პუხოვა.

საბჭოთა კავშირის საჰაერო ფლოტის დღე

# ცაში პირველი ქალები

1933 წელს თბილისში აეროკლუბი გაიხსნა. მფრინავის, პლანერისტის, პარაშუტისტისა თუ ავიომოდელისტის პროფესიამ მიიზიდა კომკავშირელი ახალგაზრდები, რომლებიც თავდადებით შრომობდნენ ფაბრიკებში, ქარხნებში, მშენებლობებზე, დაწესებულებებში.

აეროკლუბის პირველი უფროსი, გამოცდილი მფრინავი ნიკოლოზ ჯიბლაძე, მფრინავი-ინსტრუქტორი მ. გოგრიჭიანი, გრ. გაგოშიძე და სხვები ენერგიას არ იშურებდნენ, მთელ თავიანთ ცოდნას ახალგაზრდებს გადასცემდნენ.

პრაქტიკულ მეცადინეობას კურსანტები ხან მქნევარა აპარატ „წეროზე" გადიოდნენ, ხანაც პლანერის მართვას სწავლობდნენ. გვიან ღამემდე ტრიალებდნენ ახალგაზრდები ანგარების წინ საავიაციო ტექნიკის ასათვისებლად. სწავლის ერთი წელი მიიწურა. ახალბედებს რუსთავის აეროდრომი, ანგარი და „უ-2" ტიპის თვითმფრინავი ელოდათ.

და აი დადგა ნანატრი დღე. თვითმფრინავის შტურვალს პატარა, გამხდარი ქალიშვილის თითები შემოეჭდო, გაბედულად მოზიდა და თვითმფრინავი მსუბუქად მოწყვიტა დედამიწას, გეზი ღრუბლებისაკენ აიღო.

აეროდრომზე შეკრებილთ სიხარულის შეძახილები აღმოხდათ. როგორ არ გაიხარებ — თვითმფრინავს ხომ ქალი მართავს, პირველი ქართველი ქალი.

ეს იყო ნინო ხუბულავა.

ნინო ხუბულავაზე ჟურნალმა „საქართველოს ქალმა" 1967 წლის ოქტომბერში ვრცელი ნარკვევი დაბეჭდა. ამიტომაც ამჯერად მის მიმდევრებზე მოგითხრობთ.

პირველი მფრინავი ქართველი ქალიშვილის გვერდით რუსი გოგონები იდგნენ. ნინოსთან ერთად მფრინავის პროფესიას ეუფლებოდნენ მაგუბა სირტლანოვა და ანია პროცენკო.

მაგუბა სირტლანოვას ისე შეუყვარდა ცის ლაჟვარდში ნავარდი, რომ თვითმფრინავის შტურვალისათვის ხელი არ შეუშვია. მან სამამულო ომის დაწყების ამბავიც თვითმფრინავის ჯიხურში გაიგო და მაშინვე ფრონტზე წასვლა ითხოვა. სამგზავრო თვითმფრინავიდან საბრძოლოზე გადაჯდა და მტერს რისხვად მოევლინა, რისთვისაც საბჭოთა კავშირის გმირობა მიანიჭეს.

თუ პირველ მფრინავ ქალს ნინო ხუბულავას სიცოცხლის მხოლოდ 18 წელი ერგო, მისმა მიმდევარმა, პირველმა აჭარელმა მფრინავმა ქალმა ფადიკო გოგიტიძემ სამი წლით მეტი იცოცხლა. ფადიკო ითვლებოდა ფრიადოსან მოსწავლედ თბილისის აეროკლუბში, შემდეგ ბათუმის აეროკლუბში მფრინავ-ინსტრუქტორად მუშაობდა, ფადიკო კომკავშირის მეცხრე საკავშირო ყრილობის დელეგატად გაგზავნეს. 21 წლისა დაიღუპა, მაგრამ ათობით მფრინავის აღზრდა მოასწრო, რომლებიც დიდ სამამულო ომში წარმატებით იცავდნენ საბჭოთა სამშობლოს.

რუსუდან ჟორდანია ფადიკო გოგიტიძესთან ერთად სწავლობდა თბილისის აეროკლუბში, მას შემდეგ აგერ 33 წელი გავიდა და რუსუდანს კავშირი არ გაუწყვეტია ავიაციასთან. მან თვითმფრინავის შტურვალთან 5500 საათი გაატარა და სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

ძნელია აუღელვებლად წერო ქართველ მფრინავ ქალებზე, მათ საგმირო საქმეებზე. ძნელია იმიტომ, რომ მათ სიხარულთან ერთად დიდი სიძნელეებიც ხვდებოდა. ხშირად სიკვდილს უყურებდნენ თვალებში, და თუ ცოცხალი გადარჩნენ, ეს იმიტომ, რომ სულით ძლიერნი იყვნენ, სამშობლო და სიცოცხლე ერთნაირად უყვარდათ.

აბა სხვა რით აიხსნება ქართველი მფრინავი ქალის, მედიცინის დის ქეთო ხომერიკის გამძლეობა და მამაცობა, ქალიშვილისა, რომელმაც ცხოვრება წიგნებითა და სწავლით დაიწყო. უნივერსიტეტში სწავლის პარალელურად ქეთო მფრინავის პროფესიასაც ეუფლებოდა. სამამულო ომი რომ დაიწყო, მეორე კურსიდან ფრონტზე წავიდა.

მხოლოდ სევასტოპოლში მოუხდა ბრძოლა ქეთოს და ეს ერთი ქალაქი თითქმის მთელ ცხოვრებას, მთელ ომს უდრიდა. 250 დღე იბრძოდნენ სევასტოპოლი და ქეთო. 250 დღის შემდეგ კი რავენსბრუკის საკონცენტრაციო ბანაკში მოხვდა. რამდენი წამება და დამცირება გადაიტანა ქეთო ხომერიკმა საპყრობილეში, მაგრამ როზა ტელმანისა და გუსტა ფუჩიკის გვერდით, საბჭოთა ტყვე კომუნისტი ქალების გვერდით 780 დღე გაატარა და სიკვდილს არ დანებდა.

დღეს თბილისის რკინიგზის ვოგზლის დედათა და ბავშვთა ოთახში მუშაობს და ათასობით მგზავრის მადლობას იმსახურებს.

დიდმა სამამულო ომმა მრავალ ქალიშვილს შეაწყვეტინა სწავლა, მათ შორის იყო ეთერ ღლონტი, რომელიც საავიაციო ნაწილში მოხვდა, რადიოსაქმე შეისწავლა და ერთ ხანს დედამიწიდან მართავდა თვითმფრინავს. „მიწაზე ჯდომა" მალე მობეზრდა ეთერის და საბრძოლო თვითმფრინავზე გადაჯდა. პარტიზანულ შენაერთებს სურსათს, საბრძოლო ტექნიკასა და მედიკამენტებს აწვდიდა. არაერთხელ სტუმრებია ბრიანსკის ტყეებში თავშეფარებულ პარტიზანებს და მრავალი დაჭრილი გამოუყვანია ფრონტის ხაზიდან.

სამამულო ომის შემდეგ მას დიდხანს არ გაუწყვეტია კავშირი ავიაციასთან, ხოლო დემობილიზაციის მერე თბილისის ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის რადიოსექციას ხელმძღვანელობს.

საქართველოში საფრენოსნო საქმის გვერდით საფუძველი ჩაეყარა პარაშუტიზმსაც. მამაკაცების მხარდამხარ პარაშუტით ხტომის სურვილი ქართველმა ქალიშვილებმაც გამოთქვეს.

საპარაშუტო სპორტის ენთუზიასტებმა საერთო ძალით საპარაშუტო კოშკი ააგეს და სულ რაღაც 20-30 მეტრი სიმაღლიდან ხტომაში იწყეს ვარჯიში. ისინი ხშირად ველზე გადიოდნენ და პარაშუტის მართვასაც სწავლობდნენ.

დადგა 1935 წლის ივნისი. საპარაშუტო სადგურის უფროსმა პარაშუტისტთა პირველი ჯგუფი, 24 კაცის შემადგენლობით, რუსთავის აეროპორტზე წაიყვანა. იმ დღეს განხორციელდა საქართველოს ავიაციის ისტორიაში პირველი ნახტომი 100 მეტრი სიმაღლიდან და ნინო პუშინა-გელაშვილმა საფუძველი ჩაუყარა საპარაშუტო სპორტს. ნინოს მიჰყვნენ ანია წიკლაური, კალერია ქათამაძე, მილიცა ხუნდაძე და სხვები.

ნინო პუშინა-გელაშვილი ლუქსემბურგში გაემგზავრა და იქ კოლმეურნე ქალებს გადასცემდა საკუთარ გამოცდილებას. შემდეგ თბილისის აეროკლუბში დაიწყო მუშაობა საპარაშუტო სპორტის ინსტრუქტორად. სულ ერთ წელსაც არ გაევლო პირველი ნახტომიდან და ნინომ, პირველად ამიერკავკასიაში, „უ-2" თვითმფრინავიდან განახორციელა ღამის ნახტომი. 1939 წელს ნინო მფრინავის პროფესიას ეუფლება, შემდეგ კი კიროვის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში იწყებს სწავლას. საპარაშუტო სპორტთან კავშირს კი მაინც არ წყვეტს. 1941 წელს, როდესაც საბჭოთა ქვეყანას ფაშისტები შემოესიენ, ნინომ ფრონტს მიაშურა.

ქართველი მფრინავი ქალები კომკავშირმა აზიარა მამაცთა პროფესიას და მათ თავიანთი საგმირო საქმეებით გაამდიდრეს საბჭოთა ავიაციის ისტორია.

მამია ჩორგოლაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიირთვით ნაყინი

•

თქვენ შეგეძლებათ მიირთვათ თბილისური ნაყინი, რომელიც ისეთივეა, როგორც მოსკოვური.

დიახ სულ მალე თბილისში ამუშავდება ნაყინის ფაბრიკა!

აქამდე თბილისს ნაყინის ერთი საამქრო ჰქონდა, შეუფერებელ შენობაში მოთავსებული ძველი დანადგარებით, სადაც მექანიზაცია თითქმის არ იყო. ეს გავლენას ახდენდა ნაყინის ხარისხსა და ასორტიმენტზე. ამიტომ სახელგანთქმული არ იყო თბილისური ნაყინი. გარდა ამისა, ნაყინის საამქრო ვერ აკმაყოფილებდა გაზრდილ მოთხოვნილებას. ცვლაში 5 ტონა ნაყინი საკმარისი არ იყო მზარდი ქალაქისათვის.

და აი, 1966 წელს, სოღანლუღში, მე-4 მაცივრის ტერიტორიაზე დაიწყო ნაყინის ფაბრიკის მშენებლობა.

სამსართულიანი შენობა, რომელშიც ამჟამად ფაბრიკაა მოთავსებული, თბილმრეწვმშენის № 3 ტრესტმა ააშენა.

დანადგარების მონტაჟი ვაჭრობის სამინისტროს სამონტაჟო კომბინატმა შეასრულა.

აქ შემდეგი საამქროები იქნება: პასტერიზაციის, სააპარატო, ვაფლის წარმოების, ნაყინის დამფასოებელი, მუყაოს ტარის დამამზადებელი და მექანიზაციის. ფაბრიკა მთლიანად ავტომატიზირებულია. საამქროებში ხელით შრომა გამორიცხულია.

ფაბრიკის ფართობი ბევრად აღემატება ნაყინის ძველი საამქროს ფართობს. გამყინავ კამერებში 30 გრადუსი სიცივე იქნება, რაც თავისებურ გავლენას მოახდენს ნაყინის ხარისხზე.

ფაბრიკა გამოუშვებს 9 სახეობის ნაყინს: პლომბირს, ნაღებისას, რძისას, ხილისას, ესკიმოს შოკოლადის ჭიქურით, ვაფლისას, ნაყინს ბრიკეტებში, ნაყინს ვაფლის ჭიქებში, ნაყინის ტორტსა და ნაყინის ნამცხვარს. ერთი ცვლა 8 ტონა ნაყინს დაამზადებს. ფაბრიკის საკანებში შესაძლებელი იქნება 1.000 ტონა ნაყინის შენახვა. დამზადებული პროდუქციის გამოტანა მოხდება მექანიზაციის გამოყენებით.

ამ მექანიზაციის გამოსაყენებლად ფაბრიკას მაინც სჭირდება 1. 500 ადამიანი. ფაბრიკაში უმეტესად ქალები იქნებიან. კაფელით მოპირკეთებული მაღალი, ნათელი საამქროები საუკეთესო შრომის პირობებს ქმნის მათთვის. ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთათვის თავდაპირველად აიგება 100-ბინიანი საცხოვრებელი სახლი. თბილისიდან ფაბრიკის ტერიტორიამდე ივლიან სპეციალური ავტობუსები.

თბილისური ნაყინი სულ მალე სახელს გაუთქვამს ჩვენს დედაქალაქს, თუ სავაჭრო დაწესებულებები მოახდენენ ნაყინის ტრანსპორტირებას სპეციალური გამაცივებელი მანქანებით, თუ სავაჭრო ორგანიზაციებს ექნებათ სათანადო შესანახი კამერები.

და მაშინ არ დაიკარგება ის ჰაეროვნება, გემო და ორგანულ-ლეპტიკური მაჩვენებლები, რაც ნაყინმა ფაბრიკაში მიიღო.

მაშინ ბევრად გაიზრდება ნაყინის მოყვარულთა რიცხვი.

ლია ნინიძე



ბიბლიოთეკა თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მასწავლებელი

მთიელმა გოგონამ თიანეთის ორკლასიანი სამრევლო სკოლა რომ დაამთავრა, სიღარიბის გამო სწავლის გაგრძელება ვერ შეძლო. სწავლის სურვილს იგი წიგნების კითხვით იკლავდა.

გავიდა ხანი. შემდგომში ოლღა დოლიაშვილმა თბილისის პედაგოგიური ტექნიკუმი დაამთავრა და თიანეთის საშუალო სკოლის დაწყებით კლასებში რუსულს ასწავლიდა. მან საგნის სწავლება სკოლაში მაღალ დონეზე დააყენა. თავის მუშაობაში იგი იყენებდა სხვადასხვა პედაგოგიურ მეთოდებს, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ძნელადაღსაზრდელ ბავშვებს, ზოგჯერ სუსტებს წაახალისებდა კიდეც, პატარებს უნერგავდა ურთიერთპატივისცემას, შრომისადმი სიყვარულს.

ოლღა დოლიაშვილი ოთხი ათეული წელი დაწყებით კლასებს ასწავლიდა და მოსწავლეებს მუდამ მაღალი აკადემიური მაჩვენებლები ჰქონდათ.

ორი ათეული წელი რაიონის დაწყებითი კლასების მეთოდგაერთიანებასა და პედაგოგიურ სასწავლებლებთან არსებულ სანიმუშო კლასებს ხელმძღვანელობდა.

დამწყები მასწავლებლები მისგან პედაგოგიურ გამოცდილებას იძენდნენ. მისი აღზრდილები დღეს სახალხო მშენებლობის ყველა უბანზე მოღვაწეობენ.

ოლღა დოლიაშვილი პედაგოგიურ მუშაობას საუკეთესოდ ათავსებდა საზოგადოებრივ საქმიანობასთან. ხუთჯერ იყო არჩეული რაიონული საბჭოს დეპუტატად... დაჯილდოებულია ლენინის, შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის" ორდენებით, მედლებით, მინიჭებული აქვს საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდება. სანამ პენსიაზე გავიდოდა, რამდენიმეჯერ დაიმსახურა მადლობა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსაგან, რაიონის განათლების განყოფილებისაგან...

ზ. გოქსაძე,
თიანეთი.

# ერთი, ორი, სამი... ცხრა

## (ეთნოგრაფის დღიურიდან)

აკვანივით ირწევა ბონდი. რიონის ზვირთები თვალს მტაცებენ. აჰა, მეშველა, გავედი. შარას გავუყევი. ლამაზია სოფელი ონჭეიში: ხეხილში ჩაფლული ოდა-სახლები, მწვანედ აბიბინებული ეზოები და დარბაისლურად მომლოდინე ალაყაფის ჭიშკრები. აგერ, ეზოში მოხუცი, შავგვრემანი ქალი ფუსფუსებს:

— გამარჯობა, დედი!

— გაგიმარჯოს, ვერ გიცანი, შვილო!

— თბილისიდან ვარ.

— მობრძანდი, მობრძანდი, შენი ჭირიმე!

ეზოში შევდივარ. ვათვალიერებ დაკრიალებულ კარმიდამოს. ქვიანი ფერდობი დაუვაკებიათ, მცირე ტერასები ტყეს უერთდება. ეზო გლეხი კაცის ცხოვრების სარკეა, აქ ჩანს, თუ რა სახის მეურნეობას ეწევა იგი. ხელმარჯვნივ, ფარღალალა მარანში ვეშაპივით წაწოლილა ხის ვეება საწნახელი. ტალავერი თავდაბუდნულ ჭურებს ჩრდილავს, ღობეზე ცნობისმოყვარე ბალღივით გადმოუყვია თავი ორშიმოს. შორეულ კუთხეში საბძელ-ბოსელი მოჩანს. საჩიხეში დედას მონატრებული ხბო საწყალობლად ბღავის.

დიასახლისი ერთწუთს გაუჩინარდა, არ ვიცი, როგორ მოასწრო ახალი კაბის გადაცმა და თოვლივით ქათქათა თავსაფრის დახურვა.

— სტუმარი ღვთისაა, შვილო! — ამ სიტყვებით შემიძღვა აივანზე.

— აგერ დაბრძანდი. ჩემ კაცს ახლავე დაუძახებ. ვენახს ვერ ვაშორებ.

მოვიდა ოჯახის უფროსი პარმენ მანაგაძე, ძველი მეტივე. ონჭეიში ხომ მეტივეებით იყო სახელგანთქმული. როცა გარდასული ხელობა გავახსენე, მოხუცს თვალები გაუბრწყინდა, გზნებით გახედა იქვე, ეზოს ბოლოში მფშვინვარე, ზვირთებდაუმცხრალ რიონს.

— ეე, მოკვდა ჩვენი საქმე. ორმოცი წელი მეტივეობაში გავლიე. არც სოფლის სამუშაო მრჩებოდა განზე, ორთაყვირს რო ვუშვებდი ხელს, თოხი და სასხლავი მეკავა. მარა შრომამ ვერ გამტეხა. ახლა ტივი აღარავის ჭირდება, ვენახში მუშაობაა მთავარი.

ვუსმენ ამ ხალისიან, ძარღვმაგარ ბერიკაცს და აღარ მიკვირს, რატომ არის ასე აყვავებული ეს მწირი ფერდობები.

დიასახლისმა სუფრასთან მიგვიწვია. მეზობლებს გასძახეს, მაგრამ შინ არავინ იყო.

— ჰაი დედასა, — დაიკრა მუხლზე ხელი მასპინძელმა, — ჩვენს უბანში დასაპატიჟებელ კაცს ველარ იშოვი.

— რატომ?

— რა ვიცი, ბატონო, ყველა ქალაქში გარბის.

— შვილები არა გყავთ? — წამომცდა რაღაც როყიოდ.

— ცხრა, — შემივსო ჭიქა დიასახლისმა, — მარა სახლში არც ერთი არ გაგვიჩერდა, ქე ვართ უშვილოებივით, ზაფხულში თითოოროლა ბავშვს გამოგვიგზავნიან და ეგაა.

— ცხრა შვილი?! ასეთი ბედნიერი ოჯახი იშვიათია!

— ყველა ცოცხალი და საღსალამათია, შემოევლოთ დედა, მარა ეს სოფელი არავის უნდა. ქალები ქე დათხოვდნენ, გვეგონა ბიჭები ჩვენთან იქნებოდნენ და იმათაც ქალაქში ცხოვრება არჩიეს. ახლა ვართ მარტო ე ორი მოხუცებული.

— ბევრი შვილი რომ გვყავდა, — ჩამოართვა სიტყვა მეუღლეს პარმენმა, — იმის ჯავრში ვიყავი, ამდენი სამოსახლო სად ვიშოვო-თქვა. ახლა აქაც არავინ გვიჩერდება. ჩვენ რომ დავიხოცებით, გამოკეტავენ ალბათ კარს...

— ნუ გეშინიათ, მოვლენ! — ვანუგეშე მოხუცები, — შვილიშვილები ხომ ბევრი გყავთ?

— არც იმდენი. მხოლოდ ერთს ჰყავს ექვსი, დანარჩენს — ორი-სამი. უწინ ბევრი შვილი სახელი იყო, ახლა ძალიან გასათუთდნენ ქალები. მერე რამდენი საშუალებაა! ერთ მშობიარეს 5 ექიმი დასტრიალებს.

დაღარულ სახესა და დაკოჟრილ ხელებზე ადვილად ვპოულობ განვლილი სიმწრის კვალს. ღარიბი ოჯახი, მარტოხელობა, უმიწობა. ასეთ ხრიოკებზე ცხრა შვილის საზრდოს ვერ მოიყვანდა ერთი მუშაკაცი, ამიტომ მეტივეობას — მძიმე და სახიფათო საქმეს მოჰკიდა ხელი ქმარმა. ცოლი კი უვლიდა ოჯახს, ზრდიდა ბავშვებს, ვაჟკაცივით ტრიალებდა ყანასა და ვენახში, თან შიშით ელოდა ფაფარაყრილ მდინარეზე მინდობილ მეუღლეს. ვინ იცის, რამდენი უდროოდ დაღუპული მეტივე დაიტირა სოფელმა. სისხლი ეყინებოდა, როცა ყურს უგდებდა რიონის ბრდღვინვას და ღმერთს ოჯახის იმედის გადარჩენას ევედრებოდა. ოო, მძიმე იყო მაშინდელი ლუკმა. დღეს კი, ვინც შრომის ყადრი იცის, ჭურში ღვინო და ბეღელში ჭირნახული არ გამოელევა.

— შვილი როგორ არ უნდა გააჩინოს ახლანდელმა ქალმა! ნეტა რა აქვს საძებარი! მე შენ გეტყვი, ცეცხლის დანთებაზე დაეწვება ხელები...

ასე მსჯელობს 72 წლის ბაბილო ოყრეშიძე-მანაგაძისა.

უტეხი და უკვდავია მისი ძალა, ძალა დედისა, რომელმაც სისხლით მთვრალ საუკუნეთა სისასტიკე დასძლია და დღემდე მოიყვანა ჩვენი ერი.

— რაც ბუნებამ მომცა, ყველა გამიჩენია და გამიზრდია! — ამაყად ამბობს ბაბილო, — ახლა კი ბევრი ცოდვას ჩადის, თავის შეწუხება არ უნდათ...

აბა, რა უნდა მეპასუხნა?!

თქვენ რას უპასუხებდით, ჟურნალ „საქართველოს ქალის" მკითხველებო?

ლ. ფრუიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პატარებისათვის

# ციყვი ქალაქს ესტუმრა



ბიჭებმა ვიწრო ბილიკი გაიარეს, წიფლიანში ჩავიდნენ. ჩრდილში მწიფე შვინდს წაადგნენ, ყურძენივით ტკბილი საჭმელი იყო. იქვე ახლოს ხმელი წიფლის ფუღუროდან ერთმანეთში არეული ჭყივილ-კასკასი შემოესმათ. ნუგეშამ ყურები ცქვიტა და მუხას ირგვლივ სამჯერ ზედიზედ შემოურბინა. წკმუტუნებს ნუგეშა, ხან წიფელს შეაღოღდება, ხან ისევ წრეს დაარტყამს, მაგრამ ვერას გახდა. ხმაური მაღლა ტოტებიდან მოისმოდა.

— რას წვალობს ნუგეშა, აბა ახლოს მივიდე! — მიატოვა შვინდის ჭამა დათომ. — ციყვი და კოდალა ჩხუბობენ. ახლა კი ჩემი ჯერია! — ამოიღო ნიშანში დათომ და ციყვი დაბლა ჩამოაგდო. ხელში აიტაცა მომაკვდავი, გადაატრიალ-გადმოატრიალა, გაუკვირდა, რომ კავკასიურ ციყვს არა ჰგავდა. ნოდარმაც მიირბინა, ჩალისფერ ბეწვზე ხელი გადაუსვა. ასეთი ციყვი ბორჯომის ტყეებში უნახავს.

— ეს ხომ ტელეუტური ციყვია, ჩრდილოეთიდან საცდელად შემოყვანილი, — თქვა გაკვირვებულმა დათომ.

— როგორ? ბორჯომის ტყეებიდან გურჯაანამდე მოაღწია? — წამოიძახა ნოდარმა.

თოფის ხმაზე ფუღუროდან პატარა ციყვი ამოძვრა და დედას მიაშურა. მიწაზე დაეშვა და ნოდარს ფეხებში შეუძვრა. ბიჭმა დრო იხელთა და სტაცა ხელი. პატარა ციყვი წრუწუნებდა, ჭყიოდა, ბუთქუნა კუდს აქეთ-იქით აფარფალებდა. უსუსური ციყვის ჭყივილმა სიბრალულით აავსო ორივე.

— ნეტავ, არ მომეკლა დედაციყვი, არ დამეობლებინა ეს საწყალი! —თქვა შეწუხებულმა დათომ. — როგორ გადაირჩენს თავს შიმშილისაგან, ან რით იარსებებს. სახლში წავიყვან და ჩემი და გაზრდის — ეფერებოდა დათო, თან თივთიკივით რბილ ბეწვზე ხელს უსვამდა.

მონადირეებმა ცოცხალი ნანადირევი სახლში წამოიყვანეს.

პატარა ციყვის ნახვა მანანას ძალიან გაეხარდა.

— სად დაიჭირეთ, ან როგორ მოახერხეთ? — ეკითხებოდა მანანა ორივეს.

მათაც ყველაფერი უამბეს. მანანას შეებრალა პატარა ციყვი.

— მე გავზრდი, მე მოვუვლი, დათო! — და გოგონა რძის მოსატანად გატრიალდა. ციყვი ისევ ჭყიოდა და დედას დაეძებდა.

რძის სუნზე ციყვმა წამოიწია და ხელებში წაეტანა მანანას. მერე გახარებულმა რძეს დაუწყო სვლეპა.

— როგორ სვამს! დამშეულა. არ მოკვდება, თავისთავს გადაირჩენს! — გაიცინეს სამივემ.

დღეები დღეებს მისდევდა, კვირა-კვირას. მანანა უვლიდა, ასმევდა რძეს, შემდეგ კაკალი, ნუში, წაბლი, კომში, ვაშლი და ბროწეულიც აჭამა. ყველაფერს შეექცეოდა, არაფერს იწუნებდა.

თანდათან წამოიზარდა, მოღონიერდა, დაივიწყა ტყე, შეეჩვია ადამიანებს. არავის უფრთხოდა, ოთახში ბავშვებთან ერთად თამაშობდა. ჭამის შემდეგ ცელქობის ჟინი მოუვლიდა, ხან ფანჯრის ფარდას დაეკიდებოდა, ხან კამარას შეკრავდა და მანანას მხარზე დაახტებოდა. თუ ტელევიზორის ან რადიოს ხმას გაიგებდა, ახლოს მიცუნცულდებოდა და უკანა ფეხებზე ჩაკეცილი უსმენდა.

თამაშითა და ცელქობით შეაყვარა თავი ყველას. დასაძინებელი ბინაც ამორჩემებული ჰქონდა: კაჩობზე დაკიდებული პალტოს ჯიბეში. თუ ვინმე ძალით გაალვიძებდა,ავზნიანობდა, ჭყიოდა, კრიახობდა — ნუ მაღვიძებთო. მთელ ღამეს მშვიდად ეძინა. დილით კი ისევ ცელქობდა, უხაროდა ბავშვებთან ხტუნაობა.

დამთავრდა ზაფხულის არდადეგები, დათო, ნოდარი და მანანა თბილისში წამოვიდნენ. ციყვიც თან წამოიყვანეს და ახლა მათთან ცხოვრობს შოშინაურებული.

ვ. პეტრიაშვილი

ეთერ ჯღამაძე

## ვაჟას რაკეტა

ვაჟამ პლასტილინისგან
გამოძერწა რაკეტა
და შიგ ჩასვა თოჯინა,
თან სარკმელი ჩაკეტა.
შეესივნენ ბავშვები
იქედან და აქედან,
ღილაკს თითი შეახეს,
უნდათ მისი გაფრენა.
მაგრამ ნახეთ, რაკეტა
ადგილიდან არ იძვრის,
იქნებ ჩვენმა თოჯინამ
ფრენა თვითონ არ იცის?

## მზარეულები

ცირამ დაჭრა კარტოფილი,
გაუცრია კატოს ფქვილი,
გიას მოაქვს წყალი,
მზია რეცხავს მწვანილს.
პურები და პურები, —
პლასტელინის, მთლად ახლები,
ფქვილად სილა,
მწვანილად კი
დაარჩიეს ბალახები.
შვენით ციცქნა მზარეულებს
თოვლისფერი წინსაფრები,
ფუსფუსებენ, მზად არისო
კერძი სტუმრის მისართმევი!

# წერილი რძალს

არ ვიცი, რამ გადამაწყვეტინა შენთვის ამ წერილის მოწერა, იქნებ იმან, რომ შენ ახლა ჩემგან შორსა ხარ, ჩვენ სხვადასხვა ქვეყნებში ვცხოვრობთ, თუმცა ერთად კი უნდა ვიყოთ, ერთადერთი შვილის დედა ვარ და მისი ოჯახის ერთ-ერთი სრულუფლებიანი წევრიც. მაგრამ, ამას უკვე შევეგუე. მე გული მაშინ მეტკინა, როცა ჩემი შრომით შექმნილი ოჯახი არ მოგეწონა და ჩემი შვილი აიძულე სხვაგან მოგეწყოთ თბილი კერა. არც ამ გამზრახვისათვის შემიშლია ხელი, მე ის მინდა, თქვენ ტკბილად იცხოვროთ, და თუ ზედმეტი ვიქნები თქვენი ტკბილი ცხოვრებისათვის, ხელს როგორ შეგიშლით, ჩემთვის ვიქნები, არც ჩემი პირით შეგაწუხებთ და არც ლხინით გადაგტვირთავთ.

გუშინწინ მთხოვე, სხვაგან მივდივარ და პატარა გოგონა ბაღიდან შენთან წაიყვანეო. შვილიშვილის ჩემ სახლში მოსვლა უზომოდ ბედნიერებაა და აბა, უარს როგორ გეტყოდი? მთელი საღამო ერთად ვიყავით, ერთმანეთს ვეალერსებოდით, მერე იცი, რა მკითხა:

—ბებო, შენ ყეფა მართლა იცი?

გავვოცდი, მეგონა რაღაცას მოსმენილ ზღაპარს უკავშირებდა.

— არა, ბებო გენაცვალოს. მე ხომ ადამიანი ვარ და ყეფა საიდან მეცოდინება?

— აბა რატომ ამბობს დედიკო, ბებიაშენი ყეფსო?

მაშინ არ ავტირებულვარ, იქნებ იმიტომ, რომ პატარა შვილიშვილის შემრცხვა და თავი შევიკავე. მერე შენ რომ გოგონა შინ წაიყვანე, მთელი ღამე ვტიროდი.

ბავშვობაში სიხარული არ მინახავს, ღარიბი გლეხის შვილი ვიყავი, მამა რევოლუციის ქარიშხალმა შეიწირა. ვიზრდებოდი და ჩემი პატარა წვლილი შემქონდა ახლადფეხადგმული ქვეყნის მშენებლობაში. მერე გავთხოვდი, შვილიც შემეძინა, მაგრამ დიდხანს არც ოჯახური ბედნიერება გამყოლია. ომი დაიწყო. მეუღლე ფრონტზე წავიდა, იქიდან აღარ დაბრუნებულა. დავრჩი მარტო ერთადერთი შვილით, რომლისთვისაც დედაც უნდა ვყოფილიყავი და მამაც. ვის არ უჭირდა, განა მარტო მე?— მთელ ქვეყანას. ქარხანაში ვმუშაობდი, ზოგჯერ ზედიზედ რამდენიმე ცვლას, შინ დაღლილი ვბრუნდებოდი, მაგრამ დასასვენებლად სად მეცალა. საქალო საქმეც ჩემი გასაკეთებელი იყო და საკაცოც. შენ არ გახსოვს, შენს მეუღლეს კი კარგად ემახსოვრება შრომით დაკოჟრილი ჩემი ხელები. ამ ხელებით ვეალერსებოდი, მაგრამ დედის ხელები იყო და ალბათ მაინც ნაზი იქნებოდა.

ბევრი გაჭირვების გადამტანი ვარ, მაგრამ ყეფა მაინც არ მისწავლია, განა შენთვის კი ოდესმე მითქვამს ხმამაღალი სიტყვა?

შენ რომ პირველად ჩვენს სახლში ფეხი შემოდგი, კედლებმაც კი გაიცინეს, განზე გაიწიეს, სიხარულით შეგეგებნენ, შენ კი არ მოგეწონე. იქნებ იმიტომ, რომ გაჭირვებამ და მეტისმეტმა შრომამ ნაადრევად მომაბერა.

არაფერს არ გთხოვ: ვერც სიყვარულს მოვითხოვ შენგან, ვერც პატივისცემას, ამის მოთხოვნა არ შეიძლება. განა აიძულებ ვინმეს თავი შეაყვაროს? მე მხოლოდ ერთსა გთხოვ. ჩემს პატარა შვილიშვილს ნუ შეუქმნი ჩემზე ცუდ წარმოდგენას, ბებოს ნუ შეაძულებ. დაე, იცოდეს მან, რომ მეც ადამიანი ვარ, ადამიანი, რომელსაც სულ პატარა ყურადღება დიდად გაახარებს და უმნიშვნელო უხეშობაც კი გულს ატკენს.

დ. აბაშიძე

# უცხოური იუმორი

ალბერტ აინშტაინს ჩარლი ჩაპლინის ფილმები უყვარდა და დიდი სიმპატიით იყო გამსჭვალული მის მიერ შექმნილი გმირებისადმი. ერთხელ მან ჩაპლინს მისწერა შემდეგი შინაარსის წერილი: თქვენი ფილმი „ოქროს ციებ-ცხელება“ მსოფლიოში ყველასათვის გასაგებია და თქვენ უთუოდ დიდი ადამიანი გახდებით.

ამაზე ჩაპლინმა შემდეგი უპასუხა: მე უფრო მეტად მოხიბლული ვარ თქვენი ფარდობითობის თეორიით, ის არავის არ ესმის მთელს მსოფლიოში, მაგრამ თქვენ მაინც გახდით დიდი ადამიანი.

. . .

აინშტაინის სამეცნიერო კარიერის დასაწყისში ერთმა ჟურნალისტმა ჰკითხა მის მეუღლეს, თუ რას ფიქრობდა იგი თავის ქმარზე.

— ჩემი ქმარი გენიოსია! — თქვა ქალმა. — მას შეუძლია აბსოლუტურად ყველაფრის გაკეთება, გარდა ფულისა...

. . .

ერთხელ აინშტაინი სტუმრად იყო ნაცნობებთან. უცებ წვიმა წამოვიდა, წასასვლელად რომ მოემზადა, მას ქუდი შესთავაზეს.

— რატომ? — თქვა აინშტაინმა, — მე ვიცოდი, რომ წვიმა იქნებოდა და სწორედ ამიტომ არ დავიხურე ქუდი. ის ხომ უფრო გვიან შრება, ვიდრე ჩემი თმა, ეს აშკარაა.

. . .

ერთმა ნაცნობმა ქალმა სთხოვა აინშტაინს, დაურეკა მისთვის ტელეფონით, თან გააფრთხილა, რომ ძნელი დასამახსოვრებელია — 24361 ნომერი.

— რა არის აქ ძნელი? — განცვიფრდა აინშტაინი. — ორი დუჟინი (24) და 19 კვადრატში (361).

## პოლონური იუმორი

მარეკ ანტონი ვასილევსკი

# ჩვენი კოოპერატივი

უჰ, როგორ გაიზარდა ჩვენს ქალაქში კოოპერატიული მშენებლობა. საკმარისია ითქვას, რომ უახლოეს მორიგე მონტიორიდან მორიგე ზეინკლამდე 20 კილომეტრი და 850 მეტრია. ჩვენს კოოპერატივში იმდენი სახლია, რომ თავმჯდომარემ ყოველი მათგანის თითოჯერ მონახულება რომ მაინც შეძლოს, მას ამისთვის 99 წელი დასჭირდება. ჩვენი სახლების არქიტექტურა სხვენებს არ ითვალისწინებს და ამიტომ სარეცხს ფანჯრებიდან ვფენთ. თუ ყველა სარეცხიან თოკს ერთმანეთს გადავაბამთ, ეს თოკი დედამიწას შემოწვდება ორმოცდამეათე პარალელზე. თუ მაცხოვრებლის სიკვდილის, მისი გაქცევის, გაგიჟების ან სასახლის მცხოვრებთა რანგში გადასვლის გამო კოოპერატიული ბინა განთავისუფლდა, სახლმმართველობა ამას გაიგებს არა უადრეს 6-8 თვისა. ასეთი უზარმაზარი საცხოვრებელი კოოპერატივი სხვა არ მოიძებნება არც მოზელსა და ნემანს შუა, არც ლაპლანდიასა და სარდინიას შუა. ახლა ხომ წარმოიდგენთ, როგორ გვეამაყება, რომ ისეთი უზარმაზარი კოოპერატივის წევრები ვართ, სადაც მობინადრეთა რიგი სახლმმართველობის შენობის კარიდან იწყება და დაღუპულ მომხმარებელთა ძეგლამდე გრძელდება? ჰოდა, ისიც აუცილებლად უნდა ითქვას, რომ მხოლოდ ზრდილობა და ჰუმანური გრძნობები არ გვაძლევს უფლებას ზევიდან გადმოვხედოთ სხვა კოოპერატივთა მცხოვრებლებს, სადაც მომჩივან მობინადრეთა მიკრორიგებში რაღაც ოცი თუ ოცდაათი კაცი დგას. ამ პატარა კოოპერატივებში წვრილმანი რემონტი სულ რაღაც რამდენიმე თვე გრძელდება, მაშინ, როცა ჩვენთან რემონტზე განაცხადი ხუთწლიან გეგმაში შეაქვთ, ზოგს კი რიგი მხოლოდ მიმდინარე ათასწლეულში მოუწევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე კოოპერატიული აქტივისტი ვარ და მეზობლური დახმარების კომისიაში ვარ გაერთიანებული. კომისიის წევრებიდან სამეულებს ვადგენთ ხოლმე და მძიმე პირობებში მყოფ მცხოვრებლებთან მივდივართ. ამას წინათ, მაგალითად, ერთ ახალ მობინადრესთან, ვინმე თეოდორა სუიკასთან გავემართეთ. ის ჩიოდა, ონკანში მხოლოდ ცივი წყალი მომდის, თუმცა ცხელი წყლის ფულსაც სისტემატურად ვიხდიო, ჩემს ბინაში შუქი არ ინთება, ნესტისგან კედელზე სოკო გაჩნდა, წვიმის დროს კი დაბზარულ კედლებში წყალი შემოდისო.

საზოგადოდ, მეზობლური დახმარების სამეულში მხოლოდ უმაღლესდამთავრებულები არიან გაერთიანებული, მეტწილად, ფსიქოლოგები. ხომ ცნობილია, რომ ხანშიშესულ მარტოხელა ქალებს სულ უმნიშვნელო წვრილმანისთვისაც კი დიდი დავიდარაბის ატეხვა შეუძლიათ. ამიტომ, სუიკასთან წასასვლელად წინასწარ მოვემზადეთ, კარზე ჩვენი სამეულის მეთაურმა — მაგისტრმა პამპონმა დააკაკუნა. შეკითხვაზე — „ვინ არის?“ მან უპასუხა: „მეზობლური დახმარება“.

— თქვენ შეგეწიოთ წმინდა სტეფონი, მობინადრეთა მფარველი! — წამოიძახა დედაბერმა და კარი გაგვიღო. — ალბათ, შუქის გასაკეთებლად მოხვედით!

ჩვენ მივესალმეთ, სამივენი დედაბრის სავარძელზე მოვკალათდით (ოთახში მარტო ეს ერთი სავარძელი იდგა) და მაგისტრმა პამპონმა დაიწყო:

— პატივცემულო სუიკა, ჩვენ შუქის შესაკეთებლად არ მოვსულვართ. ჩვენს შორის არც ერთი მონტიორი არაა, სამაგიეროდ არის ორი ფსიქოლოგი და ერთი ფსიქიატრი. ჩვენ მოვედით, მოწყალეო ქალბატონო, რომ განუგეშოთ და გაგამხნევოთ, გარდა ამისა, დაგარწმუნოთ, რომ თქვენი მდგომარეობა არც თუ ისე მძიმეა.

— თბილი წყალი რომ არა მაქვს?! — თქვა თეოდორა სუიკამ. — მე კი მისი გადასახადიც რეგულარულად შემაქვს.

— პატივცემულო სუიკა, — ჩავერთე ახლა მე, — განა ღირს ამაზე ნერვიულობა? გაიხსენეთ, თუნდაც, როგორ შემოარტყა ალყა სამარიას ასირიის მეფემ პასტალასარ IV-მ. იცით თუ არა თქვენ, რომ სამარიის მოსახლეობას საერთოდ არ ჰქონდა წყალი — არც თბილი და არც ცივი? მერედა, რას იხდიდნენ უწყლობის საფასურად? სიცოცხლეს! აბა, წარმოიდგინეთ! იხდიდნენ იმის საფასურს, რაც არ ჰქონდათ და არც კი წუწუნებდნენ. რომ ეწუწუნათ, ჩვენამდე ხომ მოაღწევდა წუწუნის ხმა! აბა, გესმით რამე? სიჩუმეა, მეგობრებო. ხედავთ, არაფერი ისმის. აი, ვისგან უნდა აიღოთ მაგალითი, პატივცემულო სუიკა. არადა, ხომ ცნობილია, რომ სამარიის გალავნებზე, ქალაქის დამცველთა შორის, მრავლად იყვნენ ელამიტები და ლიდიელებიც. ნუთუ ჩვენ, კოოპერატივის წევრები, ვიღაც ელამიტებზე ნაკლები ვართ?

— რას ამბობთ, რა თქმა უნდა, არა, — იუარა სუიკამ, — ოღონდ იმათ გალავნები ჰქონდათ, ჩემს კედლებში კი ნაპრალებია. შეხედეთ, რამხელა ნესტის ლაქაა კედელზე. აგერ, ხედავთ, სოკოც გაჩნდა...

— ასე არ ვარგა, მოქალაქე სუიკა, — წარმოსთქვა დოქტორმა პუკვჩულკოვსკიმ. — თქვენ თქვენი სოკოთი მოგაქვთ თავი, მიკოლოგების საერთაშორისო კონფერენციის ამბავი კი, ახლახან ჩვენს ქვეყანაში რომ



მხატვარი ლ. შენგელია

ჩატარდა, სულაც არ გაინტერესებთ. ჩვენ მაგაზე უარესი სოკოც გვინახავს. პირადად მე, მაგალითად, ერთხელ ჩვენს კარადაში იმხელა სოკო ვნახე, რომ ომამდელი პოლიციელის კეტს ჰგავდა. მერე? გგონიათ ადმინისტრაცია შევაწუხე? სულაც არა. უბრალოდ, ვუბრძანე ცოლს კარადა სანაგვეზე გაეტანა და კარგად გამოეფერთხა. ყველა წვრილმანზე რომ დავიდარაბა ავტეხოთ...

— სრული ჭეშმარიტებაა. ბინდ-ბუნდში, მზე რომ ჩავა, ოთახში ისე დაბნელდება ხოლმე, რომ ეს სოკო არც ისე დიდი ჩანს.

— სწორედ, სწორედ, — აიტაცა მაგისტრმა პამპონმა. — მთავარია, დასაკვირვებელი ობიექტი აღმოაჩინოთ. დილიდან რაიმე თეორიულ საკითხზე იფიქრეთ, შეღამებულში კი თქვენი სოკო ათვალიერეთ.

— ელექტრონის შუქი კი აღარასოდეს მექნება?

— ნუ გეშინიათ, პატივცემულო, თქვენი ნათურები მსხალი არაა, რომ დალპეს, — ვიხუმრე მე უხერხულობის გასაფანტად. — თქვენ ლუკასევიჩი თუ გაგიგიათ.

— რომელი, მეშვიდე კორპუსიდან, ცოლს რომ ლავიწი მოსტეხა?

— არა, მე მხედველობაში მაქვს ნავთის ლამპის გამომგონებელი ლუკასევიჩი, ვისი ძეგლი დღესაც ამშვენებს კროსნენის მიწას. თუ ისეთი გამოჩენილი ადამიანი, როგორც ლუკასევიჩია, სარგებლობდა ნავთის ლამფით და თავს უბედნიერეს კაცად თვლიდა, მაშინ თქვენ, მოქალაქე სუიკა...

— მომიტევეთ, გეთაყვა, მე კი ვეცადე, მაგრამ შემოვდგამ თუ არა ლამფას მაგიდაზე, დაუბერავს კედლებში ქარი. და ჩამიქრობს.

— დიდებულია, — ავიტაცე მე, — ამით თქვენ ფილტვები გეზოგებათ. ნავთის ლამფის სულის ჩაბერვით ჩაქრობა შრომატევადი სამუშაოა და კალორიების დაკარგვასთან არის დაკავშირებული. თქვენს საქმეს კი ქარი ასრულებს.

— აი, აგერ, ღუმელთან, კედლიდან შემოსული წყალი დგება...

— რა წყალი? — გაოცდა დოქტორი პუკვჩულკოვსკი. — ესა? რა თბილია! ალბათ, ღუმელი ათბობს. აკი, ჩიოდით, თბილი წყალი არ მაქვსო! ამ წყალს რეომიურით ცხრამეტი გრადუსი სითბო მაინც ექნება.

— წმინდა სტეფონიუსმა არ მოგაკლოთ თავისი წყალობა, მოხუცებული ქალი რომ ასე მანუგეშეთ!

— გმადლობთ, — მივუგე მე. — ჩვენ ამაში ფულს არ ვიღებთ. ეს საზოგადოებრივი სამუშაოა. ჩვენ მხოლოდ იმას ვაკეთებთ, რის გაკეთებაც დიდ კოოპერატივში შეიძლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი საოჯახო კლუბი

## სამედიცინო თემაზე

# რა არის ალერგია?

თანამედროვე მედიცინამ „ალერგია“ უწოდა ორგანიზმის ამაღლებულ მგრძნობელობას, მის გადაჭარბებულ რეაქციას მასზე ამა თუ იმ ნივთიერების, ანუ, როგორც ამ შემთხვევაში უწოდებენ — ალერგენის განმეორებითი ზემოქმედებისას.

ზოგიერთი ადამიანი ვერ იტანს ამათუიმ საკვებს, წამალს და მათი მიღების შემდეგ ავადმყოფური მოვლენები უვითარდება. ცნობილია ფაქტი, რომ წელიწადის ისეთი შესანიშნავი დრო, როგორიც გაზაფხულია, ზოგიერთებისათვის ტანჯვის მომგვრელია: მათ ეწყებათ ხველა, გაუთავებელი სურდო, ხშირი ცხვირის ცემინება, ცრემლის დენა, უვითარდებათ თვალის ლორწოვანი გარსის ანთება, კანის შემაწუხებელი ქავილი სხვადასხვა სახის გამონაყარით, ზოგჯერ ჰაერის უკმარისობის მოვლენებით, პირისლებინებით, ტემპერატურის მომატებით და სხვა. ეს არის ალერგიული დაავადების ერთ-ერთი სახე — პოლინოზი. პოლინოზს იწვევს რომელიმე მცენარის მტვრის ნაწილაკები. მტვრის ნაწილაკები მრავლად მოიპოვება ადამიანის გარემომცველ გარემოში, განსაკუთრებით, მცენარის ყვავილობის პერიოდში. იმის მიხედვით, თუ რომელი მცენარის მიმართ არის ორგანიზმი მგრძნობიარე ანუ სენსიბილიზებული, ყოველთვის, ამ მცენარის ყვავილობის პერიოდში, ვლინდება დაავადების ზემოთაღნიშნული ნიშნები. ხე-მცენარეებიდან მკვეთრი ალერგენული თვისებებით ხასიათდება ვერხვის, ჭადრის, ცაცხვისა და სხვათა მტვრის ნაწილაკები. ალერგიას არანაკლებ იწვევს სარეველა მცენარეები, რომლებიც ყვავილობის პერიოდში მტვრის უხვ პროდუქციას იძლევიან.

ასეთივე მოვლენები ვითარდება კვებითი, საყოფაცხოვრებო, ცხოველური, მიკრობული, სოკოვანი ხასიათის ალერგენების მიმართ.

სულ რამდენიმე წლის წინ სიტყვა „ალერგია“ ბევრს არც კი გაეგონა. რამ გამოიწვია ალერგიულ დაავადებათა ასეთი გახშირება?

ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი გახლავთ ადამიანების მიერ სხვადასხვა სამკურნალო საშუალებების გადაჭარბებულად მიღება. დაუკვირდით ამ ფაქტს: იმ მილიონების ათი პროცენტი, რომლებსაც პენიცილინი მიუღიათ, ალერგიული დაავადებით არიან შეპყრობილი. თანამედროვე მედიკამენტური თერაპია, მოსახლეობის მასობრივი სენსიბილიზაციის პირობებში, წარმოადგენს თითქოს და გასროლას, რომელიც უფრო შორს ცილდება დასახულ მიზანს.

ზემოთ აღნიშნული ალერგენები ორგანიზმში გარედან ხვდებიან და წარმოადგენენ ე. წ. ეგზოალერგენებს. მრავალრიცხოვანი კლინიკური და ექსპერიმენტული გამოკვლევებით ცნობილი გახდა. რომ ალერგენის როლი შეიძლება შეასრულოს საკუთარი ორგანიზმის პათოლოგიურად შეცვლილმა ცილამაც (ე. წ. აუტოალერგენი). და ამჯერად ის გახლავთ მიზეზი დაავადების განვითარებისა. ორგანიზმის ქსოვილებისა და ცილების ეს ცვლილებები შეიძლება გამოწვეული იქნას სხვადასხვა გარეგანი და შინაგანი ფაქტორებით, კერძოდ კი ვირუსული და მიკრობული ინფექციით, სიდამწვრით, ტრავმით და სხვა. ამჟამად ცნობილია აუტოალერგიულ დაავადებათა მრავალი ჯგუფი, მათ შორის სისხლის, თირკმელების, ღვიძლის, ცენტრალური ნერვული სისტემის, კუჭ-ნაწლავის, ენდოკრინული ჯირკვლების დაავადებანი და სხვა.

ალერგიულ დაავადებათა მატებასთან ერთად ამ ბოლო წლებში აღნიშნულია მათი მიმდინარეობის ერთგვარი გაავთვისებიანება, მათი შედარებით იშვიათი მძიმე ვარიანტების გახშირება.

დღეისათვის დადგენილია, რომ ალერგიული რეაქციის მისაღებად საჭიროა ორგანიზმის მგრძნობელობის მომატება ანუ სენსიბილიზაცია ამა თუ იმ ალერგენის ორგანიზმზე რამდენჯერმე ზემოქმედების შედეგად. ამ დროს ორგანიზმში ალერგენის მიმართ გამომუშავდება გარკვეული ცილოვანი ბუნების სხეულაკები — ანტისხეულები.

როდესაც ამგვარად სენსიბილიზებული ორგანიზმი გარკვეული დროის გავლის შემდეგ განმეორებით მოდის კონტაქტში იგივე ალერგენთან, ვითარდება რეაქცია ალერგენსა და ანტისხეულს შორის, რასაც თან სდევს მთელი რიგი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების, მათ შორის ჰისტამინის გამოყოფა და ამის შედეგად იმ მოვლენების განვითარება, რასაც ვხვდებით ალერგიულ დაავადებათა დროს.

ზოგიერთი სახის ალერგიულ დაავადებათა თუ რეაქციების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მემკვიდრეობითი ფაქტორი. დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს ალერგიული რეაქციებისადმი მიდრეკილების მემკვიდრეობით გადაცემა. ასეთი მიდრეკილების მემკვიდრეობით გადაცემა აღნიშნულია: შემთხვევათა 50 პროცენტში თუ დედას აქვს ესა თუ ის ალერგიული ხასიათის დაავადება, 30 პროცენტში — თუ მამა არის დაავადებული, ხოლო 75 პროცენტში, როდესაც ორივე მშობელს აღენიშნება ესა თუ ის ალერგოზი.

ალერგიული დაავადების მკურნალობის დაწყებამდე უნდა დადგინდეს დაავადების გამომწვევი ალერგენი ან ალერგენთა ჯგუფი,

როდესაც ალერგენი დადგენილია, მიმართავენ სპეციალურ დესენსიბილიზაციას სპეციალური ალერგენების გამოყენებით. ასეთი მკურნალობა განსაკუთრებით ეფექტურია პოლინოზებისა და ზოგიერთი სახის მიკრობული ალერგიის დროს.

იმ შემთხვევაში კი, როდესაც ალერგენის დადგენა ვერ ხერხდება, მიმართავენ ე. წ. არასპეციფიკურ დესენსიბილიზაციას სხვადასხვა სახის ცილოვანი ბუნების საშუალებებისა თუ სხვა სამკურნალო პრეპარატების გამოყენებით.

პროფესორი გურამ გურგენიძე

# ჭარბ-თმიანობა

ჭარბთმიანობა ქალებისათვის მეტად არასასიამოვნო დეფექტს წარმოადგენს.

ცნობილია, რომ ადამიანის ხუთი თვის ჩანასახი მთლიანად დაფარულია თმით, რომელიც მშობიარობის წინა პერიოდში ან მშობიარობის შემდეგ დაცვივა და მის ნაცვლად გაიზრდება ღინღლი, ხოლო ზოგან კი, სადაც წესია, ნამდვილი თმა.

მაგრამ, ზოგ შემთხვევაში, ორგანიზმში მომხდარი რაიმე ცვლილებების გამო ღინღლი არ დაცვივა და რჩება მთელი სიცოცხლის მანძილზე. ასაკთან ერთად ეს ღინღლი იზრდება და უხეშდება, ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს სხვა ანომალიასაც, კერძოდ, კბილების, ოფლისა და ცხიმის ჯირკვლების მხრივ.

ქალებში ჭარბთმიანობის მიზეზი მრავალგვარია, მათ შორის ძირითადია შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების ფუნქციის მოშლა, კერძოდ, საკვერცხეების, თირკმელზედა ჯირკვლების და ტვინის ქვედა დანამატისა.

ხშირია დიაბეტით დაავადებულ ქალებში აკრომეგალია (წარზიდული ნაწილების გამსხვილება) და თმის ჭარბად ზრდა.

არსებობს ჭარბთმიანობის მკურნალობის ორი საშუალება: დროებითი და რადიკალური ანუ მუდმივი. პირველი საშუალებით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თმა არ ისპობა, იგი მხოლოდ ნაკლებშესამჩნევია გაუფერულებისა და სხვადასხვა დეპილატორების ხმარების წყალობით.

თმის მოსპობის რადიკალური საშუალება გახლავთ თმის ბოლქვის მოწვა და განადგურება. აღნიშნულ პროცედურას ეპილაცია ეწოდება, იგი მოითხოვს დიდ ხელოვნებას. ერთი სეანსით თმა არ ისპობა, იგი ხელმეორედ იზრდება , ოღონდ, ახლა უკვე მისი ნახევარი რაოდენობით ამოდის. ჭარბთმიანობის ადგილობრივ მკურნალობასთან ერთად აუცილებლად საჭიროა პაციენტის გამოკვლევა გინეკოლოგისა და ენდოკრინოლოგის მიერ და, თუ საჭიროა, სათანადო მკურნალობის ჩატარება. ეპილაცია უნდა კეთდებოდეს გამოცდილი სპეციალისტის ხელით, ექიმის სისტემატური მეთვალყურეობის ქვეშ, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია სახეზე დარჩეს დეფექტი — ატროფიული ნაწიბურები.

ამას წინათ, მოსკოვში, კოსმეტოლოგთა საკავშირო კონფერენციაზე, ჩვენმა ლენინგრადელმა კოლეგებმა წარმოადგინეს თმის მოსპობის ახალი მეთოდი, რომელიც სრულიად უმტკივნეულოა და ერთდროულად დიდ ფართობზე მოქმედებს. ჯერჯერობით იგი გამოიყენება გულმკერდის, ბარძაყის ან ზურგის არეში თმის მოსაცილებლად. პროცედურა მეტად მარტივია: იონოფორეზით კანში შეჰყავთ ნივთიერება, რომელიც იწვევს თმის ბუდის რღვევას და თმა ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე მოჰყვება ხელს.

აღნიშნული მეთოდი მხოლოდ მაშინ არის ეფექტური, თუ თმა რბილია და ადრე არ გიმკურნალიათ, ან არ ამოგიქნიათ.

თბილისის საექიმო კოსმეტიკურ სამკურნალოში უკვე დაინერგა ამ ახალი მეთოდით მკურნალობა და შედეგით ჩვენი პირველი პაციენტები კმაყოფილნი არიან.

ექიმი-კოსმეტოლოგი
**თამარ რომანკო-დუდუჩავა**

## ჭაჭარ-ჭაჭარა რჩევები

როგორ გავიგოთ, ხუნდება თუ არა რეცხვისაგან შალის კაბა ან ბლუზა? უნდა გამოვაძროთ უკუღმა პირიდან ძაფი, ჩავუშვათ ის ცხელ საპნიან წყალში, გავახვიოთ თეთრ ქსოვილში და გავაშროთ, თუ ქსოვილზე საღებავის ნიშანი არ დარჩა, შეგვიძლია თამამად გავრეცხოთ, თუ აღმოჩნდა, რომ ქსოვილი ხუნდება, მაშინ ის გავრეცხოთ ოდნავ თბილ წყალში, რომელსაც წინასწარ ჩავუმატებთ ცოტაოდენ მარილს და ძმარს.

შალის ქსოვილი რომ არ გახუნდეს, უკუღმა პირიდან გადმოაბრუნეთ, გარეცხეთ და გააშრეთ.

როცა შალის ნაწარმს რეცხავთ, ერთი პირობა აუცილებლად დაიცავით: წყალი, რომელშიც რეცხავთ და ავლებთ, ერთნაირი ტემპერატურის უნდა იყოს, თორემ ნაწარმი მოიკლებს, შეითელება. გარეცხეთ სწრაფად. შალის ტრიკოტაჟის ნაწარმი არც ერთი წუთითაც არ დატოვოთ ზედმეტად წყალში.

თეთრეული უკეთესად გაირეცხება, თუ ჭუჭყიანს დიდხანს არ შეინახავთ. თუ დღესვე ან ხვალვე არ შეგიძლიათ გარეცხვა, გაჭუჭყიანებული თეთრეული ჩააწყვეთ დაწნულ კალათში ან დასვრეტილ ყუთში, რომ ჰაერმა გაუაროს, ჭუჭყიანი თეთრეული მშრალად უნდა შეინახოს, რომ სინესტის ლაქები არ გაუჩნდეს, თორემ ამ ლაქების მოშორება ძალიან გაგიძნელდებათ.

გარეცხილ თეთრეულს სასიამოვნო სუნი ექნება, თუ გამოხარშვის დროს წყალში ჩაუმატებთ ერთ ნაჭერ ტუალეტის საპონს.

ზოგი ფიქრობს, რომ სარეცხი უკეთესი გამოვა, თუ ქარში დიდხანს ეკიდება გასაშრობად. ეს მცდარი აზრია; ქარში დიდხანს ყოფნისაგან ქსოვილი უხეშდება და სახამებელი ეცლება. სარეცხი უკეთესია ოთახის ტემპერატურაზე გააშროთ და გაშრობისთანავე ჩამოხსნათ.

გამშრალი სარეცხი დაუთოვების წინ თბილი წყლით დანამეთ. ქსოვილი თბილ წყალს ბევრად უკეთესად ითვისებს, ვიდრე ცივს და უთოობა შეგიძლიათ მაშინვე დაიწყოთ.

ლოგინის თეთრეული. სუფრები, პირსახოცები და ცხვირსახოცები კარგად გაწურეთ, გაასწორეთ და ბაწარს ნაპირით მიამაგრეთ. ასე სარეცხი არ გაიწელება, ადრეც გაშრება და იოლად დაუთოვდება.

ქალის ბლუზები და მამაკაცის პერანგები სიგანით დაკიდეთ, რომ არ გაიწელოს. ქალის კომბინეზონი კი უმჯობესია სამხრეებით მიამაგროთ.

წინდების დასამაგრებელი აბრეშუმის ქამარი და ბიუსტჰალტერი გარეცხვის შემდეგ თოკზე არ დაკიდოთ, თორემ ფორმას დაკარგავს, გადიდდება ან, პირიქით, შედგება, გაახვიეთ პირსახოცში. რამდენიმე ხნის შემდეგ კარად გაასწორეთ, ძირს დაუფინეთ რაიმე ქსოვილი, დადეთ და ისე გააშრეთ.

ტულისა და მაქმანის კრემისფერი ფარდები გარეცხვის შემდეგ ლილის მაგიერ გაავლეთ ჩაის ნაყენში ან ყავაში (ნაყენს წინასწარ გაწურავთ რამდენიმე ფენად დაკეცილ წმინდა ქსოვილში).

## ბოსტნეულის ქება

### ოხრახუში

ოხრახუში სურნელოვანი , არომატული ბოსტნეულია. მის არომატულ თვისებებს ეთერზეთების შემცველობა აპირობებს. ოხრახუში აუმჯობესებს კერძის გემოს და ხელს უწყობს საკვების უკეთ შეთვისებასა და მონელებას.

ოხრახუშის ფოთლების ქიმიური შემადგენლობა საშუალოდ ასეთია: მშრალი ნივთიერება — 14,9 პროცენტი, აზოტი — 3.7 პროცენტი, ნახშირწყლები სულ — 9 პროცენტი, მათ შორის უჯრედისი — 1,5 პროცენტი, ნაცარი — 1,7 პროცენტი.

ოხრახუში შეიცავს 170-180 მგ C ვიტამინს, 9-10 მგ კაროტინს (A პროვიტამინს). მინერალური მარილების (კალციუმი, კალიუმი, ფოსფორი) საკმაოდ დიდ რაოდენობას და სხვა. ყველაზე დიდი რაოდენობით ვიტამინები და მარილები გვხვდება მის ფოთლებში.

ოხრახუში წინათ უმთავრესად წამლების დასამზადებლად იხმარებოდა. ეს მნიშვნელობა მას დღესაც შემორჩენია. მისი ფოთლები, ძირხვენა და ნაყოფი რეკომენდებულია თირკმელის ზოგიერთი სახის დაავადების დროს. მას იყენებენ როგორც სისხლის გამწმენდსა და ჭრილობების შეხორცების ხელშემწყობ საშუალებას, მის ფოთლებში არსებული ქლოროფილი, ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ადიდებს სისხლში ჰემოგლობინის რაოდენობას და სხვა. მაგრამ, ამასთან ერთად, ოხრახუში შეიცავს ეთერზეთებსა და სხვა ისეთ ნივთიერებებს, რომლებსაც უნარი შესწევთ გააღიზიანონ საჭმლის მომნელებელი აპარატი, ამიტომ მისი მიღება მიზანშეწონილი არ არის საჭმლის მომნელებელი ორგანოების დაავადების გამწვავების პერიოდში.

ოხრახუში ჩვენში თავისუფლად ზამთრობს ღია გრუნტში, ამიტომ მისი მოხმარება შესაძლებელია წლის ნებისმიერ პერიოდში.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ვიტამინების, მარილების, არომატული ნივთიერებების შემცველობა ყოველთვის მეტია ცოცხალ ბოსტნეულში, ამიტომ ამ სახით მათი მოხმარება უფრო სასარგებლოა.

წ. 38/67

# ბოსტნეულის ქება

## სტაფილო

სტაფილო თავისი კვებითი ღირებულებით მაღლა დგას მრავალ სხვა ბოსტნეულზე. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მას ბავშვთა და სამკურნალო კვებაში.

მისი ქიმიური შემადგენლობა ცვალებადობს ჯიშის, კლიმატური პირობებისა და ძირხვენას მომწიფების ხარისხის მიხედვით. სტაფილოს ქიმიური შემადგენლობა ასეთია: შაქარი — 9,1 პროცენტი, უჯრედისი — 0,8-1,3 პროცენტი, აზოტოვანი ნივთიერებები — 1,13-1,18 პროცენტი, ნაცარი — 0,91 პროცენტი. ამასთანავე, იგი შეიცავს კაროტინის დიდ რაოდენობას, რომელიც ადამიანის ორგანიზმში პროვიტამინად გარდაიქმნება. სტაფილო მდიდარია აგრეთვე $B_1$, $B_2$, $B_6$, P, PP და სხვა ვიტამინებით.

მინერალური ნივთიერებებიდან სტაფილოში გვხვდება: კალიუმის, ნატრიუმის, კალციუმის, ფოსფორის მარილები; რკინა, იოდი, ბორი და აგრეთვე ადვილად შესათვისებელი ნახშირწყლები. სტაფილოს ძირხვენა შეიცავს ეთეროვან ზეთს, რაზედაც დამოკიდებულია მისი სპეციფიური გემო და სურნელება.

სტაფილომ მაღალი კვებითი და დიეტური თვისებების გამო ფართო გამოყენება ჰპოვა ადამიანის კვებაში, კულინარიასა და საკონსერვო მრეწველობაში. ნედლი სტაფილოს წვენი სწორუპოვარია ფეხმძიმე, მეძუძური ქალებისა და ბავშვთა კვებაში.

სტაფილოს ქორფა ფოთოლი ზოგჯერ მოიხმარება სხვადასხვა სახის კერძების მოსართავად. იგი მეტ ვიტამინებს შეიცავს, ვიდრე თვით ძირხვენა.

სამკურნალო კვების მიზნით სტაფილოს იყენებენ რევმატიზმის, ღვიძლის, თირკმლებისა და გულსისხლძარღვთა დაავადებების დროს.

სტაფილოს ძირხვენა ჩვენში თავისუფლად ზამთრობს ღია გრუნტში და ეს საშუალებას გვაძლევს წლის ყველა პერიოდში ვისარგებლოთ ამ ძვირფასი ბოსტნეულის სიკეთით.

## კომბოსტო



კომბოსტოს მხოლოდ კულინარიაში როდი ხმარობენ, მას სამკურნალო საშუალებადაც იყენებენ.

ანტიკური დროის გამოჩენილი ექიმები ჰიპოკრატე და გალენი ბოსტნეულს შესანიშნავ სამკურნალო თვისებებს აკუთვნებდნენ. პროფესორ პ. ლეპორსკის მონაცემებით, სახალხო მედიცინა წინათ ყოველგვარ ავადმყოფობას ბოსტნეულით მკურნალობდა. მაგალითად, კომბოსტოს აწერდნენ იმ თვისებებს, რომ ის იცავს ადამიანს გადამდები სნეულებებისაგან, აადვილებს მშობიარობას, ჩვილი ბავშვის დედებს უდიდებს რძის რაოდენობას, აადვილებს ხორცის მონელებას, ხელს უწყობს ჭრილობების შეხორცებას, აფხიზლებს მთვრალს და სხვა. თითქმის ასეთივე შეხედულებას იზიარებს ამჟამად სხვა მკვლევარებთან ერთად პროფესორი ი. ვასილევსკიც, რომელიც დამატებით აღნიშნავს კომბოსტოს დადებით გავლენას ღვიძლის მუშაობაზე.

კომბოსტოს ქიმიური შემადგენლობა დამოკიდებულია მის ჯიშსა და ზრდის პირობებზე. ის შეიცავს: მინერალურ ნივთიერებებს — 0,71 პროცენტს, შაქარს — 4,2 პროცენტს, ცილებს — 1,44 პროცენტს, ორგანულ მჟავებს — 2,2 პროცენტს, უჯრედისს — 0,9 პროცენტს. საკმაოდ დიდი რაოდენობითაა მასში C ვიტამინი, რომლის შემცველობა 20 მგ-დან 70 მგ-მდე ცვალებადობს (მცირეა საადრეო ჯიშებში, მაქსიმუმი კი — საგვიანოში). კომბოსტო შეიცავს აგრეთვე B, $B_2$, $B_3$, K, P, PP, D, E და სხვა ვიტამინებს. მის წვანე ფოთლებში გვხვდება კაროტინი.

მინერალური ნივთიერებებიდან კომბოსტოში ჭარბობს კალიუმი, გოგირდი, ნატრიუმი და ფოსფორი.

იმის გამო, რომ კომბოსტო მცირე რაოდენობით შეიცავს ნახშირწყლებს და აგრეთვე ნაკლებ კალორიულია, მას თავაზობენ მსუქნებსა და შაქრით დაავადებულებს.

ნედლი კომბოსტოს წვენის მიღებას ურჩევენ კუჭ-ნაწლავის წყლულოვანი დაავადებების დროს. ჯანმრთელ ადამიანს დამწნილებული კომბოსტოს წვენი მადას უღვიძებს და ხელს უწყობს საჭმლის მონელებას.

ადამიანის ჯანმრთელობისათვის თეთრთავიანი კომბოსტოს ნედლად ჭამა სასარგებლოა (განსაკუთრებით მაშინ, როცა სხვა ბოსტნეულის სიმცირეა). ამიტომ განსაკუთრებით პოპულარულია დაკეპილი კომბოსტოს სალათი, შემზადებული მცენარეული ზეთითა და არაჟნით.

**შ. ოგოლაძე,**

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.

გარეკანის პირველ გვერდზე — საბჭოთა ქალების კომიტეტის თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის გმირი, კოსმონავტი ვალენტინა ნიკოლაევა — ტერეშკოვა; მეოთხე გვერდზე — საქართველოს ტელევიზიის კომენტატორი ჯულიეტა ვაშაყმაძე.
ფოტო ნორა ანთიძისა.

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. გურგენიძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი.
ტექრედაქტორი ქ. დემუროვა.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონები — 99-98-71. 99-50-39. გადაეცა ასაწყობად 19/VI-69 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 30/VII-69 წ. ქაღალდის ზომა $60 \times 90^1/_8$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3, სააღრიცხვო- საგამომცემლო თაბახი 5,3.

ტირაჟი 100.000. შეკვ. № 1855. უე 02276. **ფასი 80 კაპ.**

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი „საქართველოს ქალი".
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал «Сакартвелос кали»
Издательство ЦК КП Грузии.

ОНТРОЛЬНЫЕ



თბილისის ღამე

ფოტო ზ. ურუშაძისა

ИНДЕКС 76178

ეროვნული
ბიბლიოთეკა

